



EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS  
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

© ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2013. წინამდებარე თარგმანი შესრულებულია ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა სატრასტო ფონდის ხელშეწყობით ([www.coe.int/humanrightstrustfund](http://www.coe.int/humanrightstrustfund)). სასამართლოსათვის იგი სავალდებულო ხასიათს არ ატარებს. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ საავტორო უფლებების სრული მიმოხილვა მოცემული დოკუმენტის ბოლოს.

© Council of Europe/European Court of Human Rights, 2013. This translation was commissioned with the support of the Human Rights Trust Fund of the Council of Europe ([www.coe.int/humanrightstrustfund](http://www.coe.int/humanrightstrustfund)). It does not bind the Court. For further information see the full copyright indication at the end of this document.

© Conseil de l'Europe/Cour Européenne des Droits de l'Homme, 2013. La présente traduction a été effectuée avec le soutien du Fonds fiduciaire pour les droits de l'homme du Conseil de l'Europe ([www.coe.int/humanrightstrustfund](http://www.coe.int/humanrightstrustfund)). Elle ne lie pas la Cour. Pour plus de renseignements veuillez lire l'indication de copyright/droits d'auteur à la fin du présent document.

დიდი პალატა

საქმე **ANIMAL DEFENDERS INTERNATIONAL** გაერთიანებული  
სამეფოს წინააღმდეგ

(განაცხადი #. 48876/08)

გადაწყვეტილება  
[ამონარიდები]

სტრასბურგი

22 აპრილი, 2013

*ეს გადაწყვეტილება საბოლოოა, თუმცა შესაძლოა დაექვემდებაროს  
სარედაქციო შესწორებებს*



**საქმეზე Animal Defenders International-ი გაერთიანებული  
სამეფოს წინააღმდეგ,**

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა  
პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

დინ სპიელმანი, პრეზიდენტი,  
ნიკოლას ბრატზა,  
ფრანსუაზ ტულკენსი,  
ჯოსეპ კასადევალი,  
ნინა ვაჯიკი,  
ინეტა ზიემელე,  
ელიზაბეტ შტეინერი,  
პაივი ირველა,  
ჯორჯ ნიკოლაუ,  
ანდრამ შაიო,  
ზდრაჟკა კალაიდიევა,  
მიჰაი პოლელუნგი,  
ნებოისა ვუცინიკი,  
კრისტინა პარადალოსი,  
ვინსენტ ა. დე გაეტანო,  
იულია ლაფრანკი,  
ელენ კელერი, მოსამართლეები  
და მაიკლ ოზოლე, სასამართლოს მდივნის მოადგილე,

ითათბირა 2012 წლის 7 მარტს და 2013 წლის 20 თებერვალს და ამ  
უკანასკნელ დღეს მიიღო წინამდებარე გადაწყვეტილება:

**პროცედურა**

1. საქმის წარმოება დაიწყო ადამიანის უფლებათა და ძირითად  
თავისუფლებათა დაცვის კონვენციის (“კონვენციის”) 34-ე მუხლის  
საფუძველზე ლონდონში არსებული არასამთავრობო  
ორგანიზაციის Animal Defenders International-ის მიერ დიდი  
ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული  
სამეფოს წინააღმდეგ 2008 წლის 11 სექტემბერს წარდგენილი  
განაცხადით (#. 48876/08).

2. განმცხადებელს სასამართლოს წინაშე წარმოადგენდა  
ქალბატონო ტ. ალენი, ლონდონში მოღვაწე სოლისიტორი.

გაერთიანებულ სამეფოს (მოპასუხე სახელმწიფო) წარმოადგენდა სახელმწიფო წარმომადგენელი, ქალბატონი ა. სორნარაია, საგარეო საქმეთა და თანამეგობრობის სამინისტროდან.

3. განმცხადებელი ჩიოდა კომუნიკაციების შესახებ 2003 წლის კანონის 321.2 მუხლით ფასიანი პოლიტიკური აკრძალვასთან დაკავშირებით.

4. განაცხადი წარედგინა სასამართლოს მეოთხე სექციას (სასამართლოს რეგლამენტის 52.1 მუხლი). 2011 წლის 21 იანვარს სასამართლომ გადაწყვიტა განაცხადის გადაცემა მოპასუხე სახელმწიფოსთვის. მან ასევე გადაწყვიტა საქმის დასაშვებობის გადაწყვეტა და არსებითი განხილვა ერთდროულად (29.1 მუხლი). 2001 წლის 29 ნოემბერს პალატამ გადაწყვიტა იურისდიქციის დათმობა დიდი პალატისთვის.

5. დიდი პალატის შემადგენლობა განისაზღვრა კონვენციის 27-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების და სასამართლოს რეგლამენტის 24-ე მუხლის საფუძველზე.

6. განმცხადებელმა და მოპასუხე სახელმწიფომ წარმოადგინეს წერილობითი მოსაზრებები დასაშვებობის და საქმის არსებითი განხილვისთვის.

7. საქმის საჯარო განხილვა გაიმართა ადამიანის უფლებათა შენობაში სტრასბურგში, 2012 წლის 7 მარტს (59.3 მუხლი). აქ სასამართლოს წინაშე წარსდგნენ:

– მოპასუხე სახელმწიფოს სახელით

ქალბატონი ა. სორნარაია, სახელმწიფო წარმომადგენელი,  
ბატონი მ. ჩემბერლენი, წარმომადგენელი,  
ქალბატონი ე. ვან ჰეინინგენი,  
ქალბატონი ს. უაითი მრჩევლები;

– განმცხადებლის სახელით

ბატონი ჰ. ტომლინსონი (დედოფლის მრჩეველი),  
ბატონი ა. ონილი (დედოფლის მრჩეველი), წარმომადგენელი,  
ქალბატონი ტ. ალენი, მრჩეველი,  
ქალბატონი ჯ. კრამერი, განმცხადებელი ორგანიზაციის პრეზიდენტი.

სასამართლომ მოისმინა ბატონი ჩემბერლენის და ბატონი ტომლინსონის სიტყვები.

## ფაქტები

### I. საქმის გარემოებები

8. განმცხადებელი არასამთავრობო ორგანიზაცია კამპანიას აწარმოებს ცხოველთა კომერციული, სამეცნიერო და გასართობი მიზნით გამოყენების წინააღმდეგ და მიზნად ისახავს ცვლილებები შევიდეს კანონმდებლობასა და საჯარო პოლიტიკაში და ამისათვის, საჯარო და საპარლამენტო აზრზე ზეგავლენის მოხდენას.

#### *1. აკრძალული სატელევიზიო რეკლამა*

9. 2005 წელს განმცხადებელმა დაიწყო კამპანია სახელწოდებით ‘პრიმატი ჩემი მეგობარია’, რომელიც მიმართული იყო პრიმატების შინ ყოლის, გამოფენისა და სატელევიზიო რეკლამებში გამოყენების წინააღმდეგ. კამპანიის ფარგლებში განმცხადებელს სურდა 20 წამიანი სატელევიზიო რეკლამის ეთერში გაშვება. რეკლამა იწყება ცხოველის გალის გამოსახულებით, სადაც ჩრდილიდან გამოდის ჯაჭვით დაბმული გოგო. შემდეგ ეკრანი თეთრდება და სამი მესიჯი გამოდის მიმდევრობით: “შიმპანზეს გონებრივი განვითარება ოთხი წლის ასაკისას უტოლდება”; “მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ გენეტიკური მონაცემების 98% საერთო გვაქვს, ისინი მაინც გალიაში არიან და იძულებას ექვემდებარებიან ჩვენს გასართობად”; და “უფრო მეტის და კონკრეტულად იმის შესატყობად, როგორ შეგიძლიათ დაგვეხმაროთ, შეუკვეთეთ 10 ფუნტ-სტერლინგად საგანმანათლებლო საინფორმაციო პაკეტი”. და ბოლო კადრში შიმპანზეა იმავე მდგომარეობაში, რაშიც მანამდე გოგო.

10. აღნიშნული რეკლამა წარედგინა მაუწყებლობის რეკლამის ზედამხედველობის ცენტრს (“the BACC”) შესაბამის კანონმდებლობასთან მისი შესაბამისობის განსახილველად. 2005 წლის 5 აპრილს BACC-მა უარი განაცხადა რეკლამის ეთერში გაშვებაზე ნებართვის გაცემაზე. განმცხადებლის მიზნები “სრულად და ძირითადად პოლიტიკური ხასიათის” იყო და შესაბამისად ამ რეკლამის ეთერში გაშვებას კრძალავდა კომუნიკაციების შესახებ 2003 წლის კანონის (2003 წლის კანონი) 321.2 მუხლი. რეკლამის ნახვა დასაშვები და შესაძლებელი იყო ინტერნეტში.

*2. უმაღლესი სასამართლო ([2006] EWHC 3069)*

11. 2005 წლის 19 ოქტომბერს განმცხადებელმა წამოიწყო საქმისწარმოება - ითხოვდა 1998 წლის ადამიანის უფლებათა აქტის ("the HRA") მე-4 მუხლთან შეუსაბამობის გამოცხადებას, ამტკიცებდა რა, რომ 2003 წლის კანონით ტელევიზიითა და რადიოთი პოლიტიკური რეკლამის აკრძალვა არ შეესაბამებოდა კონვენციის მე-10 მუხლს. ერთადერთი სადაო საკითხს წარმოადგენდა, შესაძლებელი იყო თუ არა აკრძალვის მიჩნევა "აუცილებლად დემოკრატიულ საზოგადოებაში".

12. კულტურის, მედიისა და სპორტის დეპარტამენტის ("DCMS") გენერალური დირექტორის 2005 წლის 16 დეკემბრის დასტური წარდგენილ იქნა სახელმწიფოს სახელით. ის დეტალურად აღწერდა მაუწყებლობის მარეგულირებელი რეჟიმისთვის რამდენად ძირეული მახასიათებელი იყო მიუკერძოებლობა და რატომ იყო მიჩნეული, რომ პოლიტიკური რეკლამა შეუსაბამობაში მოდიოდა მიუკერძოებლობასთან. ის განმარტავდა, რომ ნაკლებად შემზღუდავი აკრძალვა არაპრაქტიკული იყო, აღწერდა რა შეფასების პროცესს, რომელიც 1999 წელს დაიწყო (იხილეთ 37-55 პარაგრაფები დაბლა) და უთითებდა, რომ შესაბამისი ორგანოები, რომლებთანაც კონსულტაცია გაიარეს, მხარს უჭერდნენ აკრძალვას და მიიჩნევდა, რომ ამით ფაქტიურად პასუხი გაეცა განმცხადებლის არგუმენტებს. სამაუწყებლო მედიაზე კონტროლი გამართლებული იყო მედიუმის უნიკალური ბუნებით და იმით, რომ განმცხადებლისთვის ხელმისაწვდომი იყო სხვა მედია საშუალებები. დოკუმენტი, რომელიც მიუთითებდა მსგავსი ნორმების მქონე ქვეყნებზე (ირლანდია, დანია, შვედეთი და ნორვეგია), ადასტურებდა, რომ ქვეყნებში, სადაც ნებადართული იყო ფასიანი პოლიტიკური რეკლამა, კვლავ რჩებოდა ამგვარი სისტემის მართვის 'მნიშვნელოვანი პრაქტიკული პრობლემა', კერძოდ კი ყველა პარტიისთვის თანაბარი ხელმისაწვდომობის გარანტიის შექმნის თვალსაზრისით, იქ სადაც პოლიტიკური ლანდშაფტი ხასიათდება მრავალპარტიულობით, სადაც პარტიები/მაუწყებლები გზას უვლიან ფასიანი პოლიტიკური რეკლამის დროის/დაფინანსების შესახებ წესებს და სადაც გაურკვევლობაა იმასთან მიმართებით თუ რა არის "პოლიტიკურ" რეკლამა.

13. 2006 წლის 4 დეკემბერს უმაღლესმა სასამართლომ (აულდ ლ. და ოსლი ჯ.) არ დააკმაყოფილა განმცხადებლის საჩივარი. ორივე მოსამართლემ მიიჩნია, რომ აკრძალვა ნათლად იყო განსაზღვრული. ოსლი ჯ.-იმ მიიჩნია, რომ ის მოიცავდა “პოლიტიკური აქტივობის მიმდინარეობას და ინტენსივობას საარჩევნო პერიოდში პარტიის პოლიტიკური აქტივობიდან დაწყებული, არაპოლიტიკური ორგანოების მიერ ნებისმიერ დროს საჯარო ინტერესებთან მიმართებით მოღვაწეობის ჩათვლით”. მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური გამოხატვა გამოხატვის მეტად დაფასებულ ფორმად იყო მიჩნეული, ორივემ ჩარევა გამართლებულად მიიჩნია.

14. ორივე მოსამართლემ უარი განაცხადა დაყრდნობოდა საქმეს *VgT Verein gegen Tierfabriken შვეიცარიის წინააღმდეგ (VgT Verein gegen Tierfabriken v. Switzerland)* (#. 24699/94, ECHR 2001-VI), რომელიც მათ იმ კონკრეტული საქმის ფაქტების რელევანტურად მიიჩნის. აულდ ლ.-მ 2003 წლის კანონს აღმოუჩინა რამდენიმე გამაუმჯობესებელი მახასიათებელი, რომელიც არ იყო ასახული VgT-ში განხილულ სქემაში, მათ შორის მოქნილობა პოლიტიკური და საარჩევნო მაუწყებლობის დროისა და შინაარსის კონტროლთან მიმართებით. ისინი ეყრდნობოდნენ VgT გადაწყვეტილების კრიტიკას საქმეზე *R (ProLife Alliance) BBC-ის წინააღმდეგ* ([2003] UKHL 23), ოსლი ჯ.-მ დაადგინა, რომ შეუძლებელი იყო VgT-ის გადაწყვეტილების საფუძველის გაზიარება. ორივე მოსამართლემ ეჭვქვეშ დააყენა საქმის *მერფი ირლანდის წინააღმდეგ* რელევანტურობა (no. 44179/98, ECHR 2003-IX (ამონარიდები): ის არ ეხებოდა პოლიტიკური რეკლამას და ისინი ვერ დარწმუნდნენ მიგნებით იმის შესახებ, რომ პოლიტიკური რეკლამირების შესახებ შეზღუდვებთან მიმართებით თავისუფალი შეფასების ფარგლები უფრო ვიწრო იყო ვიდრე რელიგიურ თემაზე რეკლამირებასთან მიმართებით.

15. ორივე მოსამართლემ ხაზი გაუსვა სიფრთხილეს, რომელიც სასამართლოებმა უნდა გამოიჩინონ პარლამენტის პოლიტიკურ და საკანონმდებლო არჩევანთან მიმართებით. აულდ ლ. განმარტავდა, რომ:

“ ... სოციალური და პოლიტიკური მნიშვნელობის ამგვარ საკითხებთან მიმართებით, ხელშემკვრელი სახელმწიფოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოების, განსაკუთრებით კი ამ უკანასკნელის მიმართ შესაძლოა ჩვეულებრივ არსებობდეს მოლოდინი, რომ ექნება დემოკრატიული საჭიროებების და პრაქტიკული ნიუანსების უკეთესი ან

უფრო მტკიცე აღქმა, ვიდრე სტრასბურგის სასამართლოს ან საკუთარ სასამართლოებს. ამაში აისახება აღიარების ცნება, რომელიც ამ თუ სხვა სახელწოდებით მაინც გაფრთხილებაა ჩვენი სასამართლოებისთვის მთავრობის პოლიტიკაში ან მისი იმპლემენტაციისთვის პარლამენტის საკანონმდებლო სქემებში ჩაურევლობასთან დაკავშირებით. ამგვარი გაფრთხილება ღიაა ამ კონტექსტში ხელშემკვრელი სახელმწიფოს დისკრეციული გადაწყვეტილების თავისუფალი შეფასების ფარგლების გაფართოებისთვის და არა დავიწროვებისთვის, როგორც ეს ხელშემკვრელი სახელმწიფოს ტრადიციებთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი და სენსიტიური საკითხების კონტექსტშია, რომლის შეფასებისას ამ ქვეყნის სახელმწიფო ორგანოები - როგორც მერფის შემთხვევაში ირლანდიაა - განსაკუთრებით მოქნილი და კვალიფიციურები არიან.

აქ, გაერთიანებული სამეფოს პარლამენტმა აირჩია მაუწყებელი მედიის მიერ გადაცემული პოლიტიკური რეკლამის აკრძალვა, სხვა მედია საშუალებებთან შედარებით [ამ მედია საშუალების] აშკარად უფრო ძლიერი გავლენის და შედეგად მდიდარი ინტერესების მიერ დემოკრატიული პროცესის დარღვევის გამო. შესაძლოა სხვა გზაც არჩეულიყო, მაგრამ სასამართლო განა კი არის ამის განმსჯელი, საპარლამენტო სქემებისთვის ფართო და მაღალ ავტორიტეტული მხარდაჭერის გათვალისწინებით?”

აულდ ლ.-მ შემდეგ დაასკვნა, რომ პარლამენტი მოქმედებდა მისთვის მინიჭებული დისკრეციის ფარგლებში.

ოსლი ჯ.-მ განაცხადა, რომ უმაღლესი სასამართლო არ ეყრდნობოდა მხოლოდ მისთვის წარდგენილ მტკიცებულებას, რადგანაც “კანონმდებლობაში ასახული პარლამენტის გამოცდილება, ექსპერტიზა და გადაწყვეტილება ახდენს საჭირო დასაბუთების დემონსტრირებას”. აკრძალვის გამართლებასთან მიმართებით, მან განაცხადა:

“სახეზეა კონკურენტული ინტერესები და კანონმდებელი ვალდებული და უფლებამოსილია დააბალანსოს ისინი, იმ გზის გათვალისწინებით, რომლის მეშვეობითაც მისი ვარაუდით ჯგუფებს და მხარეებს ექნებათ უკეთესი წვდომა მაუწყებელ მედიაზე, რასაც მომჩივანი ითხოვს თავისთვის და სხვებისთვის...”

ამასთან მიმართებით ნათელია, რომ პარლამენტმა გამოხატა დასაბუთებული მოსაზრება, გაითვალისწინა რა 321-ე მუხლის მინიშნებები ადამიანის უფლებებზე. მე დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ მის მოსაზრებას, რაც შეზღუდვის საჭიროების მტკიცებულებას წარმოადგენს. ეს არ არის ადმასრულებელი აქტი და არც კანონქვემდებარე აქტი, არამედ პირველადი კანონმდებლობაა, რომელიც პარლამენტმა მიიღო საწინააღმდეგო ხმის გარეშე. მისთვის ცნობილი იყო პროფესორი ბარნდტის საპირისპირო პოზიცია ადამიანის უფლებებზე დაყრდნობით და VGT-ზე დაყრდნობით გაკეთებული დათქმები, რომელიც გამოხატა ადამიანის უფლებათა გაერთიანებულმა კომიტეტმა და საარჩევნო კომისიამ.



მეც დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ პარლამენტის დასაბუთებულ მოსაზრებას თემიდან გამომდინარე. პოლიტიკური დებატის თემების, ჩარჩოსა და ინტენსივობის გაშუქების შედეგებს იმაზე უკეთ ვერავინ შეაფასებს ვინც ყოველდღიურად ურთიერთობენ მოქალაქეებთან და ინტერეს-ჯგუფებთან, მათი ზეგავლენის გათვალისწინებით, საპასუხოდ თუ წინააღმდეგობის გასაწევად. ისინი უკეთეს მდგომარეობაში არიან შეაფასონ, რა ტიპის ჯგუფები არიან ან შეიძლება იყოს, რომლებიც შეძლებენ ისარგებლონ აკრძალვის შემსუბუქებით. არ არის სადაო, რომ პარლამენტი თავისი წევრებით და პოლიტიკურად აქტიური პარტნიორებით უკეთეს პოზიციაში არიან მიიღონ ამ საკითხებზე გადაწყვეტილება, ვიდრე მოსამართლეები. ეს არ არის ის სფერო, სადაც მოსამართლეები უფრო გამოცდილები და ექსპერტები არიან. ეს უფრო მეტად ეროვნულ მოსამართლეებზე ვრცელდება.

მე ამ ფაქტორებს მივიჩნევ მნიშვნელოვანი მტკიცებულებითი წონის მქონედ დემოკრატიული გზით არჩეული ორგანოს მიერ საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე კონკრეტული შეზღუდვის აუცილებლობის განსაზღვრასთან მიმართებით. რეალურად, სხვაგვარად რომ ითქვას, თვით ეს საკითხი მნიშვნელოვან გადაწყვეტილების დისკრეციულად მიღების უფლებამოსილებას ანიჭებს პარლამენტს.

ექვგვარეშეა, რომ პარლამენტს შეეძლო დაეგეგმა იმგვარი სიტყვათა შეთანხმება, რომელიც ნებისმიერი სახის პრობლემას გადაჭრიდა, უნდა გავლებულიყო თუ არა ზღვარი რეკლამის მსურველთა ან რეკლამის სახეებს შორის. თუმცა, ნებისმიერი გადაჭრის გზის კომპლექსურობა და გარდაუვალი განუჭვრეტადობა პარლამენტის გასათვალისწინებელია იმის გადაწყვეტისას არის თუ არა რეკლამის ეთერში გაშვებაზე სრული აკრძალვა ერთადერთი პრაქტიკული და სამართლიანი პასუხი.”

იმასთან მიმართებით პარლამენტის მიერ აკრძალვის დადგენა იყო თუ არა მისი აუცილებლობის მტკიცებულება პარლამენტის ექსპერტიზის სფეროში ან როგორც გადაწყვეტილება იმ სფეროში, სადაც დისკრეციის ფართო ფარგლები მოქმედებს, ოსლი ჯ.-მ მიიჩნია, რომ პარლამენტის გადაწყვეტილებას პატივი უნდა სცენ სასამართლოებმა.

16. ევროპული კონსესუსის არარსებობის პირობებში, აულდ ლჯ-მ აღნიშნა, რომ ექსპერტების მიერ წარმოდგენილი ანგარიშები ნაკლებად სასარგებლო იყო, წარმოდგენილი იყო სახელმწიფოს მიერ აღიარების სახით და მას სახელმწიფო არ ეყრდნობოდა. ოსლი ჯ.-მ აღნიშნა, რომ უმაღლეს სასამართლოს მიაწოდეს გარკვეული, მაგრამ არა ამომწურავი მასალა იმის შესახებ თუ ევროპის საბჭოს ზოგიერთი სხვა და თანამეგობრობის სახელმწიფოები როგორ აწესრიგებდნენ ამ საკითხს. თუმცა არც ეს იყო საკმარისი იმის დემონსტრირებისთვის, რომ არსებობდა ზოგადი კონსესუსი, რომ საარჩევნო პერიოდი ამართლებდა რეკლამირებაზე აკრძალვებს და

არც იმაზე არსებობდა ნათელი კონსესუსი, წინამდებარე აკრძალვა აუცილებელი იყო თუ არა არასაარჩევნო პერიოდში. ქვეყნები თავად წყვეტენ რა სახის შეზღუდვებია აუცილებელი მათი პოლიტიკური მგრძობელობისა და მაუწყებლობის სისტემის გათვალისწინებით. სწორედაც კონსესუსის არ არსებობამ ასახა შესაძლოა ის განსხვავებული პირობები, რომლებიც კანონმდებლის გადაწყვეტილების ნაწილია იმასთან მიმართებით ესა თუ ის აკრძალვა აუცილებელია თუ არა დემოკრატიულ საზოგადოებაში.

17. როგორც აულდ ლჯ, ისე ოსლი ჯ აღნიშნავენ აკრძალვის არსს: დემოკრატიული პროცესის ურყევობის შენარჩუნება იმის უზრუნველყოფით, რომ მაუწყებელი მედია არ არის შელახული კონკრეტული პოლიტიკური დღის წესრიგის მხარდამჭერი მდიდარი ინტერესებით. ოსლი ჯ ახასიათებს ამ აკრძალვას, როგორც დემოკრატიული პროცესის მხარდამჭერაზე მიმართულ შეზღუდვას და არა როგორც კონკრეტული შინაარსის პროტესტს. ორივე მოსამართლე ლეგიტიმურად მიიჩნევს მაუწყებელი მედიის გამორჩევას, რადგანაც მისი გავლენა პოტენციურად უფრო ძლიერია: ოსლი ჯ თვლის, რომ სერიოზული დავის საგანს არ წარმოადგენს ის, რომ მაუწყებელი მედია უფრო ყოვლისმომცველი და ძლიერია, ვიდრე სხვა მედია საშუალებები. რაც შეეხება დებატს იმის შესახებ ტელევიზია უფრო ძვირია თუ სხვა მედია საშუალებები, ოსლი ჯ საკმარისად მიიჩნევს იმას აღიარებას, რომ მაუწყებლობის მეშვეობით გავრცელებულ რეკლამას აქვს ის უპირატესობა, რაც რეკლამის მიმწოდებლებისთვის და მაუწყებლებისთვის ცნობილია და რომლისთვისაც პირველნი დიდი ოდენობით თანხას გადაიხდნენ იმაზე ფართო ჯგუფზე წვდომისთვის, რომელთაც სურთ საჯარო დებატებში მონაწილეობა.

18. და ბოლოს, ორივე მოსამართლემ უარყო არგუმენტი იმისა შესახებ, რომ აკრძალვა არაპროპორციული იყო, რადგანაც ის ვრცელდებოდა არასაარჩევნო პერიოდზე და განმცხადებლის მსგავს ჯგუფებზე, რომლებიც არ იყვნენ ასოცირებული პარტიის პოლიტიკასთან ან საარჩევნო კამპანიასთან. აულდ ლჯ-მ აღნიშნა, რომ “პრინციპული და ლოგიკური განსხვავება” არ იქნებოდა თუკი შეზღუდვა შემოიფარგლებოდა საარჩევნო პერიოდით. ორივე მოსამართლემ მიიჩნია, რომ არასაარჩევნო პერიოდში მაუწყებელ მედიაში პოლიტიკურ რეკლამას თანაბრად აშკარა გავლენა აქვს დემოკრატიულ პროცესზე. ამასთან მიმართებით, ოსლი ჯ-მ

აღნიშნა, რომ მაუწყებელი მედია ფართო მოქმედების იყო და რომ განგრძობადი დემოკრატიული საკითხები შეიძლება წარმოშობილიყო ნებისმიერ დროს და შესყიდულ ზეგავლენას შეეძლო გავლენა მოეხდინა კანონმდებლობის პოპულარიზაციაზე, არჩევნების ჩატარების გადაწყვეტილებაზე ან მის უკიდურეს შედეგზე. ორივე მოსმართლემ ასევე მიიჩნია, რომ არაპრაქტიკული, თვითნებური და პოტენციურად უსამართლო იყო პარტიის პოლიტიკურ საქმიანობასა და საზოგადოებრივი მნიშვნელობის სხვა საკითხებს შორის გამყოფი ხაზის გავლების მცდელობა: თვალთმაქცური პოლიტიკური დებატი შეიძლება განხორციელდეს მრავალი ფორმით და მოიცვას დიდი რაოდენობით საზოგადოებრივი ინტერესის თემები, შესაბამისად კონკრეტული საკითხების კატეგორიზება რთული იქნება. არსებობდა ასევე რისკი, რომ ასეთი კატეგორიზების პირობებში პოლიტიკურ პარტიებს ექნებოდათ თავიანთი პოლიტიკური რეკლამის “კონტრაქტით დანაყოფებზე ან მხარდამჭერ ჯგუფებზე დავალების” საშუალება, რაზეც არ გავრცელდებოდა შეზღუდვები.

19. შედეგად, უმაღლესმა სასამართლომ უარი თქვა შეუსაბამობის გამოცხადებაზე.

### 3. ლორდთა პალატა ([2008] UKHL 15)

20. 2008 წლის 12 მარტს ლორდთა პალატამ (ლორდი ბინგჰამი, ლორდ სკოტი, ბარონესა ჰალე, ლორდი კარსველი და ლორდი ნეუბერგერი) ერთხმად არ დააკმაყოფილა განმცხადებლის საჩივარი.

21. ლორდმა ბინგჰამმა მიიღო ძირითადი გადაწყვეტილება. მან აღიარა, რომ ვინაიდან აკრძალვა შეეხო პოლიტიკურ გამოხატვას, სახელმწიფოსთვის დაკისრებული დასაბუთების ვალდებულების სტანდარტი იყო “მაღალი” და შესაბამისად თავისუფალი შეფასების ფარგლები მცირე. შეზღუდვის მიზანი შემდეგში მდგომარეობდა:

“28. დემოკრატიული პროცესის ძირითადი არსი მდგომარეობს იმაში, რომ კონკურენტული შეხედულებები, მოსაზრებები და პოლიტიკური ხედვები საჯაროდ განიხილება და წარედგინება საზოგადოებას განსჯისთვის. კეთილი ზრახვები დროთა განმავლობაში განდევნის ცუდს და სიმართლე უპირატესობას მოიპოვებს სიყალბეზე. უნდა ვივარაუდოთ, რომ დროის გათვალისწინებით საზოგადოება აშკარა არჩევანს გააკეთებს, დემოკრატიული პროცესის მიმდინარეობისას როდის აქვს მას არჩევის უფლება. თუმცა მეტად სასურველია, რომ დებატის არენა იყოს

მაქსიმალურად პრაქტიკულ დონეზე. ეს მიიღწევა მაშინ, როდესაც საზოგადოებრივი დისკუსია, განსხვავებული მოსაზრებები გამოხატულია, ეწინააღმდეგება ერთმანეთს, პასუხი გაეცემა და განსჯის საგანი ხდება. მაუწყებელთა ვალდებულება ამ მიზნის მიღწევა მიუკერძოებელი გზით, დაბალანსებული პროგრამის მომზადებით, სადაც კანონიერი მოსაზრებების გაშუქებაა შესაძლებელი.”

## 22. მიზანი არ არის მიღწეული თუ:

“... კარგად უზრუნველყოფილი ინტერესები, რომლებიც არ ეკუთვნის პოლიტიკურ პარტიებს, შეძლებს ძალაუფლების ფულისთვის მინიჭებას, რაც თავის მხრივ უპირატესობას მიანიჭებს ნამდვილ ან ყალბ მოსაზრებებს, პროგრესულად მოაზროვნეთათვის მომხიბლავს ან არამომხიბლავს, სასარგებლოს ან ზიანის მომტანს. რისკს წარმოადგენს, ის რომ არსებითად პოლიტიკური მიზნები შესაძლოა საზოგადოებისთვის მისაღები გახდეს არა იმიტომ, რომ ისინი საჯარო დებატში წარდგენილია როგორც სწორი, არამედ მუდმივი გამოვლენის ხარჯზე საზოგადოებას აიძულებენ მის მიღებას. სხვების უფლებებს, რომლების დასაცავადაც გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობის უფლებაზე შეზღუდვა შეიძლება განისაზღვროს, ჩემს გადაწყვეტილებაში მოიცავს უფლებას დაცული იყო ცალმხრივი პოლიტიკური რეკლამისგან პოტენციური დაზიანებისგან.”

ლორდ ბინგჰამს არ უფიქრია, რომ ამ არგუმენტის სრული სიძლიერე აისახა ზემოთ ციტირებულ *VgT* გადაწყვეტილებაში.

23. ის მიიჩნევდა, რომ ბლანკეტური აკრძალვა აუცილებელი იყო სადაო მიზნების მქონე ორგანიზაციების მხრიდან რეკლამირების რისკის თავიდან ასაცილებლად და მან დაადგინა, რომ ეს შესაძლებლობა არ იყო გათვალისწინებული საქმეზე *VgT*, მაგრამ აღიარებული იყო ზემოთ ციტირებულ *მერფის (Murphy)* გადაწყვეტილებაში. ის რომ აკრძალვა ვრცელდებოდა მხოლოდ მაუწყებელ მედიაზე, როგორც ოსლი ჯ.-მ მიიჩნია, აიხსნებოდა ტელევიზიისა და რადიოს განსაკუთრებით ფართო და ძლიერი დაფარვით, რაც სასამართლომ აღიარა საქმეზე *ჯერსილდი დანიის წინააღმდეგ (Jersild v. Denmark)* (1994 წლის 23 სექტემბერი, § 31, სერია A # 298) და საქმეზე *მერფი (Murphy)* მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნა, რომ *VgT* გადაწყვეტილება ამსუბუქებდა საკითხს.

24. რაც შეეხება იმას, ნაკლებად შემზღუდავი აკრძალვით (რომელიც რეგულირებულია დროის, სიხშირის, ხარჯის ან რეკლამის ბუნებით ან ხარისხით) შეიძლება თუ არა შეცდომაში შეყვანის თავიდან აცილება, ლორდმა ბინგჰამმა არ მიიჩნია აუცილებლად იმის დეტალურად შესწავლა *inter alia*, ნაკლებად შემზღუდავი სისტემა დაიდგოდა თუ არა მცირე ჯგუფის შექმნით, რომელსაც იგივე პოლიტიკური მიზნები ექნებოდა;

რთული იქნებოდა ამის შეფასება ობიექტურად და თანმიმდევრულად; და უფრო რთული იქნებოდა მაუწყებლებისთვის მათი მიუკერძოებლობის ვალდებულების შესრულება. მაშინ როცა JCHR-მა მოითხოვა კომპრომისული გამოსავალი, მთავრობამ დაადგინა, რომ არანაირი სამართლიანი და ქმედითი კომპრომისული გამოსავალი არ არსებობდა, რომელიც გადაჭრიდ ამ პრობლემას, “გადაწყვეტილება რომელსაც პარლამენტი გაიზიარებდა. მე ამ გადაწყვეტილების გასაჩივრების საფუძველს ვერ ვხედავ”. პარლამენტის გადაწყვეტილებას “მეტი ძალა” აქვს შემდეგ სამ მიზეზთა გამო. პირველ რიგში, გონივრული იყო იმის მოლოდინი, რომ დემოკრატიულად არჩეული პოლიტიკოსები “გამორჩულად სენსიტიურები” იქნებოდნენ დემოკრატიის ურყევობის დასაცავად აუცილებელი ღონისძიებების მიმართ. მეორე, მაშინ როცა პარლამენტმა მიიჩნია, რომ აკრძალვას “შეეძლო თუმცა მოულოდნელად” დაერღვია მე-10 მუხლი, პარლამენტმა გადაწყვიტა მოქმედება მათი შეხედულებით აკრძალვის მნიშვნელოვნების გამო და მათი გადაწყვეტილების მნიშვნელოვნების გამო, რომელიც არ შეიძლება “მსუბუქად დაიდლოს”. და მესამე, კანონმდებელი არ შეიძლება ერგებოდეს ერთ კონკრეტულ საქმეს, არამედ უნდა ადგენდეს ზოგად წესებს და პარლამენტი წყვეტს სად გადის ზღვარი. ხოლო ეს აუცილებლად გულისხმობს, რომ მძიმე საქმეები ზღვარს გარეთ აღმოჩნდება, “რაც არ ქმნის წესის გაუქმების საფუძველს თუკი საერთო ჯამში ეს წესი სასარგებლოა.”

25. ის ფაქტი, რომ კომუნიკაციის სხვა საშუალებები განმცხადებლისთვის ხელმისაწვდომი იყო “გარკვეული წონის მქონე ფაქტორს წარმოადგენდა” და ეს შედარდა საქმეს *ბოუმანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Bowman v United Kingdom)* (1998 წლის 19 თებერვალი, *ანგარიშები 1998-I*), სადაც სადაო დებულება სრულ დაბრკოლებას წარმოადგენდა განმცხადებლისთვის საკუთარი მოსაზრებების გამოხატვისას.

26. და ბოლოს, ლორდმა ბინგჰამმა მიიჩნია, რომ არ არსებობდა ნათელი კონსესუსი წევრ ქვეყნებს შორის მაუწყებლის მეშვეობით პოლიტიკური რეკლამის გადაცემის საკანონმდებლო რეგულირებაზე. ამ სასამართლომ გააფართოვა თავისუფალი შეფასების ფარგლები ამ შემთხვევაში და შესთავაზა, რომ შესაძლოა ისე აღმოჩნდეს, რომ თითოეული სახელმწიფო უკეთეს პოზიციაში იყოს, გადაწყვიტოს შეკავება და საკუთარი დემოკრატიის

ურყევობის მე-10 მუხლთან შესაბამისობაში დასაცავად. მან არ დააკმაყოფილა საჩივარი, დაეთანხმა ოსლი ჯ-ს და მთავარ საითხებში აულდ ლჯ.-ს. მან არ გაიზიარა ლორდ სკოტის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ეროვნული სასამართლოები უფლებამოსილი იყვნენ [ადამიანის უფლებათა ევროპული] სასამართლოსგან განსხვავებით განემარტათ კონვენციური უფლებები, ვინაიდან საგანგებო გარემოებების არ არსებობისას პირველნი უნდა მიყოლოდნენ [ადამიანის უფლებათა ევროპული] სასამართლოს ნათელ და ურყევ პრეცედენტულ სამართალს.

27. ლორდი სკოტი დაეთანხმა ლორდ ბინგჰამს და ორი კომენტარი დაამატა.

პირველ რიგში ამ აკრძალვას შესაძლოა მოჰყოლოდა მე-10 მუხლთან დაკავშირებით სხვა საჩივრებიც, მისი “გამორჩეული” ფარგლების გათვალისწინებით: ამით შეიძლებოდა განმცხადებლისთვის პოლიტიკური შინაარსის გარეშე ან სრულიად ნეიტრალური შინაარსის რეკლამის ეთერში გაშვებაზე და მათი პრინციპების საწინააღმდეგო დასაშვები კომერციულ რეკლამაზე შეპასუხების შესაძლებლობის გამოცლა. შედეგად, შესაძლოა არსებობდეს მიმართულებები, რასთან მიმართებითაც 319-ე და 321-ე მუხლები შეუსაბამობაშია მე-10 მუხლთან. თუმცა, ადამიანის უფლებათა აქტის მე-4 მუხლის საფუძველზე შეუსაბამობის დეკლარირების უფლებამოსილება დისკრეციული იყო. ზოგადი წესის თანახმად ის არ გამოიყენება, თუ საქმის გარემოებები არ მიუთითებს, რომ სადაო საკანონმდებლო ნორმა “ზემოქმედებს განმცხადებლის კონვენციურ უფლებაზე ... იმ ფორმით რაც შეუსაბამობაშია ამ უფლებასთან” და კონვენციურ უფლებასთან ამ საკანონმდებლო ნორმის შეუსაბამობის ჰიპოთეტური მაგალითები არ არის საკმარისი. და დაასკვნა, რომ აკრძალვა არ იყო განმცხადებლის მე-10 მუხლით გათვალისწინებულ უფლებებთან შეუსაბამობაში.

მეორე, *VgT* გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით შეუძლებელი იყო იმის ვარაუდი, რომ [ადამიანის უფლებათა ევროპული] სასამართლო არ დაეთანხმებოდა ლორდთა პალატას წინამდებარე საქმეზე. *მერფის (Murphy)* საქმეზე სასამართლომ არ გამოყო ან გამოიყენა *VgT*-ს საქმეზე მისი დასაბუთება, შესაბამისად სასამართლოს გადაწყვეტილებები მეტწილად თითოეული საქმის კონკრეტულ ფაქტებს ეყრდნობა. ლორდთა პალატის და ამ

სასამართლოს მიგნებებს შორის განსხვავება მხოლოდ შესაძლებელი იყო.

28. ბარონესა ჰალემ საკუთარი გადაწყვეტილება დაიწყო იმაზე მითითებით, რომ საქმის განხილვისას “ოთახში სპილო იყო” და შეერთებულ შტატებში რეკლამა დომინირებს არა მხოლოდ საარჩევნო პერიოდში არამედ ასევე პოლიტიკური აზრის ფორმირებისას. მან ხაზი გაუსვა დიდი ოდენობით თანხების ხარჯვას და ასევე შეერთებულ შტატებში არჩევნების ჩასატარებლად თანხების მოზიდვას. შეერთებულ შტატებში არანაირი შეზღუდვა არ არსებობდა თანხაზე, რაც ლობისტურ ჯგუფებს შეეძლოთ დაეხარჯათ ძლიერი და გავლენიანი მედიის საშუალებით გზავნილების გასავრცელებლად.

29. მან განაგრძო აკრძალვის არსის აღწერით, როგორც იმის გარანტისა, რომ ხელისუფლება და მისი პოლიტიკა არ არის განსაზღვრული ყველაზე მსხვილი მხარჯველების მიერ:

“ჩვენი დემოკრატია ეფუძნება იმაზე მეტს ვიდრე ერთი ადამიანი ერთი ხმა. ის ეფუძნება მოსაზრებას, რომ თითოეულ ადამიანს გააჩნია თანაბარი ღირებულება. ... ჩვენ გვსურს, რომ ყველას შეეძლოს საკუთარი აზრის ჩამოყალიბება მნიშვნელოვან საკითხებზე. ამისთვის ჩვენ გვჭირდება ინფორმაციისა და იდეების თავისუფალი გაცვლა. ჩვენ უნდა მივიღოთ, რომ ზოგიერთ ადამიანს უფრო მეტი რესურსი აქვს ვიდრე სხვებს საკუთარი მოსაზრებების გამოსავლენად. მაგრამ ჩვენ გვსურს თავიდან ავიცილოთ გამოკვეთილი უთანასწორობა, რასაც მაუწყებელი მედიისადმი შეუზღუდავი წვდომა განაპირობებს.

შესაბამისად, ეს საქმე არ არის მხოლოდ გამოხატვის თავისუფლებაზე დასაშვები შეზღუდვების შესახებ. ის ეხება დემოკრატიის მნიშვნელოვან შემადგენელ ელემენტებს - გამოხატვის თავისუფლებასა და ამომრჩეველთა თანასწორობას შორის სათანადო ბალანსის დადგენას.”

30. ბარონესა ჰალემ ლორდ ბინგჰამის მიერ წარმოდგენილ არგუმენტებთან სრულ შესაბამისობაში დაადგინა, რომ აკრძალვა, რომელიც განიხილებოდა წინამდებარე საქმესთან მიმართებით, არ იყო მე-10 მუხლით გათავლისიწნებული განმცხადებლის უფლებებთან შეუსაბამო. საპირისპიროდ ამისა, ის იყო:

“51. ... პრობლემაზე დაბალანსებული და პროპორციული რეაგირება: მათ შეეძლოთ თავიანთი საქმის წინ წამოწევა ნებისმიერი სხვა ფორმით, მაგრამ არა იმგვარად, რომ მდიდარის სასარგებლოდ საჯარო დებატების შებლაღვის რისკი შეექმნათ. უნდა არსებობდეს მსგავსი აკრძალვა იგივე ტიპის რელამასთან მიმართებით, მიუხედავად კამპანიის საგნისა და კამპანიის მწარმოებელთა რესურსებისა. ჩვენ არ უნდა გავმიჯნოთ იმის მიხედვით, თუ რა საფუძველს ვადასტურებთ და რა საფუძველს არ

ვადასტურებთ. არც იმ პატარა ორგანიზაციების გამიჯვნაა შესაძლებელი, რომლებიც თითოეული პენისთვის იბრძვიან, იმ მდიდარი ორგანიზაციებისაგან, რომლებსაც წვდომა აქვთ დიდ თანხებთან. დაჯგუფება და შეზღუდვები არ იმუშავებს...”

31. მან სადაო გახადა *VgT* საქმეზე სასამართლოს გადაწყვეტილების მოქმედების გავრცელება, ვინაიდან როგორც სასამართლოს სხვა გადაწყვეტილებები ესეც კონკრეტულ ფაქტს ეხებოდა:

“52. ... მიუხედავად იმისა რომ ორგანიზაციები მსგავსი იყო, რეკლამები საკმაოდ განსხვავდებოდა: “ჭამე ნაკლები ხორცი” განსხვავდება გზავნილისგან “დაგვეხმარე მათი ტანჯვის შეჩერებაში”. მნიშვნელოვანი არგუმენტები, რომელთაც ნაკლები მნიშვნელობა მიენიჭა საქმეზე *VgT*, მიიღეს საქმეზე *მერფი (Murphy)*. თუკი სამსჯელოა, კონკურენტულ ინტერესებს შორის ბალანსის განსაზღვრა მეტად მნიშვნელოვანია პოლიტიკურ და არა რელიგიურ კონტექსტში. თუმცა მნიშვნელოვანი პოლიტიკური განაცხადია ის, რომ დემოკრატიაში სხვათა პოლიტიკური უფლებები თანაბრად მნიშვნელოვანია. განსახილველია, ამ ფაქტებზე გავრცელებული აკრძალვა სხვათა დემოკრატიული უფლებების დაცვის ლეგიტიმური მიზნის პროპორციული იყო თუ არა. როგორც ლორდმა ბინგჰამმა მოახდინა დემონსტრირება, მთავრობამ და პარლამენტმა ბოლოს გარკვეული სიფრთხილით შეისწავლა უფრო შემზღუდავი აკრძალვის ამუშავება შესაძლებელი იყო თუ არა და დაასკვნა, რომ არ იყო. შერჩეულ გამოსავალს ყველა პარტიის მხარდაჭერა ქონდა. ყველა პოლიტიკური შეხედულების პარლამენტარმა დაიკავა პოზიცია, რომ აკრძალვა აუცილებელი იყო დემოკრატიულ საზოგადოებაში. ნებისმიერი სასამართლო ნაკლებად მიიღებდა ამ პოზიციისგან განსხვავებულ მოსაზრებას. ამ წესის ფარგლებთან დაკავშირებით დავისთვის სივრცე არსებობდა, მაგალითად პოლიტიკური ორგანოს მიერ ნებისმიერი რეკლამის აკრძალვაზე ან საზოგადოებრივი დავის საგანზე ნებისმიერი პირის მიერ რეკლამის მომზადების აკრძალვაზე. მაგრამ ეს არ არის ეს შემთხვევა.”

32. და ბოლოს, ბარონესა ჰალე დაეთანხმა ლორდ ბინგჰამს (და არ დაეთანხმა ლორდ სკოტს) იმაში, რომ ასახული კონვენციური უფლებების სწორი ინტერპრეტაცია პირველ ყოვლისა [ადამიანის უფლებათა ევროპულ] სასამართლოს ეკუთვნის. ეროვნულმა სასამართლოებმა უნდა მიიღონ “ფრთხილი მიდგომა” და “გვერდი არ აუარონ” [ადამიანის უფლებათა ევროპული] სასამართლოს ინტერპრეტაციებს, არამედ “ფეხი აუწყონ სტრასბურგის სამართალწარმოებას, რადგანაც ის არც მეტი არც ნაკლები, დროთა განმავლობაში ვითარდება.”.



33. როგორც ლორდმა კარსველმა ისე ლორდმა ნეუბერგერმა არ დააკმაყოფილეს საჩივარი ლორდ ბინგჰამის მიერ წარმოდგენილ დასაბუთებაზე დაყრდნობით.

## II. შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობა და პრაქტიკა

...

### C. კომუნიკაციების შესახებ 2003 წლის კანონი (“2003 წლის კანონი”), რომელიც ძალაში შევიდა 2003 წლის ივლისში

#### 1. პოლიტიკური რეკლამის აკრძალვა

56. 2003 წლის კანონი პარლამენტმა მიიღო აბსოლუტური უმრავლესობით. 2003 წლის კანონმა მანამდე არსებული მარეგულირებლები, მედიის, ტელეკომუნიკაციისა და რადიო კომუნიკაციის ერთიანი მარეგულირებლით ჩაანაცვლა სახელწოდებით “კომუნიკაციების ოფისი” (“OFCOM”). თუმცა 2007 წლის 31 დეკემბრამდე მაუწყებლობის რეკლამის ზედამხედველობის ცენტრი (“BACC”) იყო პასუხისმგებელი მაუწყებლების მიერ შემოთავაზებული რეკლამის ეთერში გაშვებამდე შესწავლასა და ზედამხედველობაზე.

57. 319.1 მუხლის თანახმად OFCOM ვალდებულია დაადგინოს და შეამოწმოს სტანდარტები 319.2 მუხლში ჩამოთვლილი კონკრეტული მიზნების მისაღწევად; ეს მიზნები მოიცავს ტელევიზიითა და რადიოთი ახალი ამბების გადაცემას სათანადო მიუკერძოებლობით და 320-ე მუხლით დადგენილი მიუკერძოებლობის მოთხოვნების დაცვით და უფრო მეტიც, იმას, რომ პოლიტიკური რეკლამის აკრძალვის საპირისპირო რეკლამა არ მოხვდეს ტელე და რადიო მომსახურებაში.

58. 321.2 მუხლი მოიცავს ამ აკრძალვას და ადგენს შემდეგს:

“2. 329.2.g მუხლის მიზნებისთვის რეკლამა პოლიტიკური რეკლამის აკრძალვის საწინააღმდეგოა თუკი ის არის:

ა. რეკლამა, რომელიც განთავსებულია სრულად ან ძირითადად პოლიტიკური ბუნების მქონე ორგანოს ან მისი სახელით;

ბ. რეკლამა, რომელიც მიმართულია პოლიტიკური მიზნისკენ; ან

გ. რეკლამა, რომელიც უკავშირდება ინდუსტრიულ დავას.”

59. 321.3 განმარტავს “პოლიტიკური ბუნების და პოლიტიკური მიზნების” ობიექტებს, როგორც შემდეგის მომცველს:

ა. გაერთიანებულ სამეფოში თუ სხვაგან არჩევნების ან რეფერენდუმის შედეგებზე გავლენის მომხდენი;

ბ. გაერთიანებულ სამეფოში მთლიანად ან მის ნაწილში, ან სხვაგან კანონმდებლობაში ცვლილებების მომტანი, ან ნებისმიერ ქვეყანაში ან ტერიტორიაზე საკანონმდებლო პროცესებზე ზეგავლენის მომხდენი;

გ. გაერთიანებულ სამეფოში ან სხვაგან ადგილობრივი, რეგიონული ან ეროვნული ხელისუფლების პოლიტიკაზე ან გადაწყვეტილებებზე ზეგავლენის მომხდენი;

დ. იმ ადამიანთა პოლიტიკასა და გადაწყვეტილებებზე ზეგავლენის მოხდენა, რომელთაც მინდობილი აქვთ საჯარო ფუნქციები გაერთიანებული სამეფოს ან გაერთიანებული სამეფოს გარეთ არსებული ქვეყნებისა და ტერიტორიების კანონმდებლობით;

ე. იმ ადამიანთა პოლიტიკასა და გადაწყვეტილებებზე ზეგავლენის მომხდენი, რომლებსაც ფუნქციები აქვთ გადაცემული საერთაშორისო შეთანხმებებით;

ვ. გაერთიანებულ სამეფოში საჯარო დებატის თემასთან დაკავშირებით საზოგადოებრივ აზრზე ზეგავლენის მომხდენი;

ზ. პოლიტიკური მიზნებისთვის გაერთიანებულ სამეფოში ან სხვაგან პარტიის ან პირთა ორგანიზებული ჯგუფების ინტერესების პოპულარიზაციის განმახორციელებელი.”

60. შესაბამისად, აკრძალვა ვრცელდება არა მხოლოდ პოლიტიკური შინაარსის რეკლამებზე, არამედ ასევე სრულად ან ძირითადად პოლიტიკური ბუნების მქონე ორგანოებზე, მათი რეკლამის შინაარსის მიუხედავად.

61. 321.7 მუხლი ადგენს გამონაკლისს საჯარო მომსახურების რეკლამებზე, რომლებიც ეთერში გადის სახელმწიფო დეპარტამენტის და კონკრეტული პოლიტიკური პარტიების, პარტიის პოლიტიკური და რეფერენდუმის კამპანიის გასაშუქებლად მათ მიერ ან მათი სახელით (64-ე პარაგრაფი დაბლა). პოლიტიკური პარტიები, რომელთა სახელითაც შესაძლებელია ამგვარი მაუწყებლობა განისაზღვრება OFCOM-ის მიერ და მხოლოდ საარჩევნო კომისიის მიერ რეგისტრირებულები შეიძლება შეირჩნენ.

*2. მაუწყებელ მედიაში ობიექტურობის ვალდებულება: 3 მექანიზმი*

62. მაუწყებლობის მარეგულირებელი საკანონმდებლო რეჟიმის ძირითად მახასიათებელს წარმოადგენს პოლიტიკური მიუკერძოებლობა და ეს მიიღწევა სამი მექანიზმით. პირველი არის პოლიტიკური რეკლამის აკრძალვა.

63. მეორე არის ყველა მაუწყებლის კანონით დადგენილი ვალდებულება მიუკერძოებლობაზე. 2003 წლის აკნონის 320-ე მუხლი არსებობს შემდეგ სათაურით “მიუკერძოებლობის სპეციალური მოთხოვნები” და 1-ელი და მე-2 პუნქტები შემდეგი შინაარსისაა:

“(1) ამ მუხლის მოთხოვნებია:

ა. სატელევიზიო და რადიო მომსახურების შემთხვევაში, მე-2 ქვეპუნქტში მითითებული რომელიმე მომსახურების მიმწოდებელი პირის შეხედულებების ან მოსაზრებების გამომხატველი მომსახურებების შემცველი პროგრამების გამორიცხვა;

ბ. ყოველი სატელევიზიო პროგრამის მომსახურების, ტელეტექსტის მომსახურების, ეროვნული რადიოს მომსახურებისა და ეროვნული ციფრული გახმოვანების პროგრამის მომსახურების შემთხვევაში სათანადო მიუკერძოებლობის შენარჩუნება, ამ მომსახურების მიმწოდებელი პირის მიერ, ყველა იმ საკითხთან მიმართებით;

გ. ყოველი რადიო მომსახურების, ადგილობრივი ციფრული ხმოვანი პროგრამის მომსახურების ან რადიო ლიცენზირებას დაქვემდებარებული შინაარსის მომსახურების შემთხვევაში ამ საკითხების შესახებ კონკრეტული ადამიანების ან პირების შეხედულებებისა და მოსაზრებების არასათანადო პოპულარიზაციისთვის შექმნილი პროგრამების შემცველი მომსახურების თავიდან აცილება.

(2) ეს საკითხებია:

ა. პოლიტიკური და ინდუსტრიული დისკუსიის საკითხები; და

ბ. მიმდინარე საჯარო პოლიტიკასთან დაკავშირებული საკითხები.”

64. მესამე მექანიზმია პოლიტიკური პარტიის, პარტიის საარჩევნო და პარტიის რეფერენდუმის კამპანიის ეთერში უფასოდ გაშვების უზრუნველყოფა მაუწყებლების მიერ, მექანიზმი, რომელიც მაუწყებლობის დაწყებიდან იყო რეგულირებული სივრცის ნაწილი. პირველი ამგვარი ეთერი რადიოში განხორციელდა 1924 წელს, ხოლო ტელევიზიით - 1951 წელს. 2003 წლის კანონის 333-ე მუხლი ადგენს, რომ მაუწყებლების ლიცენზია უნდა მოითხოვდეს უფასო საეთერო დროის გათვალისწინებას და

OFCOM-ის წესების დაცვას. ეს წესები აწესრიგებს პარტიის პოლიტიკურ საეთერო დროს (რომელსაც ძირითად პარტიებს სთავაზობენ პოლიტიკური კალენდრის საკვანძო მოვლენების დროს); პარტიის საარჩევნო საეთერო დრო (რომელსაც საარჩევნო პერიოდში სთავაზობენ ყოველ ძირითად პარტიას და მცირე რეგისტრირებულ პარტიებს, რომლებსაც პრეტენზია აქვთ საყოველთა არჩევნებში ერთ მეექვსედზე ან მეტ ადგილზე) და რეფერენდუმის კამპანიის საეთერო დრო (რომელსაც სთავაზობენ რეფერენდუმში ჩართულ თითოეულ ორგანიზაციას რეფერენდუმისთვის მზადებისას).

...

## კანონმდებლობა

### I კონვენციის მე-10 მუხლის სავარაუდო დარღვევა

76. განმცხადებელი ჩიოდა მე-10 მუხლის საფუძველზე ფასიანი სატელევიზიო და რადიო რეკლამის კანონისმიერი აკრძალვის გამო (აკრძალვა). მე-10 მუხლი შემდეგი შინაარსისაა:

“1. ყველას აქვს უფლება გამოხატვის თავისუფლებაზე. ეს უფლება მოიცავს პირის თავისუფლებას, ჰქონდეს შეხედულებები, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია თუ მოსაზრებები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად. ეს მუხლი ხელს არ უშლის სახელმწიფოებს, განახორციელონ რადიომაუწყებლობის, სატელევიზიო ან კინემატოგრაფიულ საწარმოთა ლიცენზირება.

2. ამ თავისუფლებათა განხორციელება, რამდენადაც ის განუყოფელია შესაბამისი ვალდებულებისა და პასუხისმგებლობისაგან, შეიძლება დაექვემდებაროს ისეთ წესებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სანქციებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, უწესრიგობისა თუ დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობის ან მორალის დაცვის მიზნით, სხვათა რეპუტაციის ან უფლებების დასაცავად, საიდუმლოდ მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.

## A. დასაშვებობა

77. სასამართლო მიიჩნევს, რომ განაცხადი არ არის აშკარად დაუსაბუთებელი კონვენციის 35.3.a მუხლის მნიშვნელობისთვის. ის ასევე აღნიშნავს, რომ ის არ არის დაუშვებელი სხვა რაიმე საფუძვლით. შესაბამისად ის უნდა გამოცხადდეს დასაშვებად.

## B. არსებითი მხარე

78. მხარეები შეთანხმდნენ, რომ აკრძალვა უტოლდებოდა განმცხადებლის მე-10 მუხლით გათვალისწინებულ უფლებებში ჩარევას, რომ ჩარევა იყო “კანონით გათვალისწინებული” (2003 წლის კანონის 319-ე და 321-ე მუხლები) და რომ ის ემსახურებოდა საჯარო ინტერესის თემებზე მაუწყებლობის მიუკერძოებლობის შენარჩუნების და შესაბამისად დემოკრატიული პროცესის დაცვის მიზანს.

### 1. განმცხადებლის წერილობითი განაცხადი

79. განმცხადებელმა აღნიშნა კონვენციის დამცავი ძალა პოლიტიკური და საჯარო ინტერესის გამოხატვასთან მიმართებით, ამტკიცებდა რა რომ ჩარევა ფართოდ განისაზღვრებოდა და რომ ის წარმოადგენდა წინასწარ შეზღუდვას. შესაბამისად უნდა გამოყენებულიყო თავისუფალი შეფასების ვიწრო ფარგლები და მკაცრი გადასინჯვა (*VgT*, ციტირება მაღლა). “შედარებით ფართო შეფასების ფარგლები”, რაზეც მიუთითებდა *TV Vest*-ი (ციტირება მაღლა), რელევანტური იყო მხოლოდ იმდენად რამდენადაც სახელმწიფო მიიჩნევდა საგანგებო მახასიათებლებზე დაყრდნობას, როგორცაა მისი ეროვნული მდგომარეობა, რაც სპეციფიურად ასაბუთებდა შეზღუდვას (როგორც საქმეზე *მერფი ირლანდიის წინააღმდეგ (Murphy v. Ireland)*, # 44179/98, ECHR 2003-IX (ამონარიდები)) და ეს ვითარება არ იყო წინამდებარე საქმეზე. ეროვნული სასამართლოების მიერ კანონმდებლისთვის მინიჭებული თავისუფალი შეფასების ფართო ფარგლები მიუღებელი იყო, ვინაიდან ეს უკანასკნელი შედგებოდა პოლიტიკური პარტიებისგან, რომლებიც სარგებლობდნენ განსახილველი შეზღუდვით.

80. განმცხადებლის მთავარი არგუმენტი მდგომარეობდა იმაში, რომ ფასიან პოლიტიკურ რეკლამაზე აკრძალვა მეტად ფართო იყო პროპორციულობისთვის, შემდეგ მიზეზთა გამო.

81. პირველ რიგში, აკრძალვა მეტად ფართოდ იყო განმარტებული. მიიჩნეოდა რა რომ წინასაარჩევნო პერიოდში აკრძალვა აუცილებელი იყო, განმცხადებელი მის შენარჩუნებას არასაარჩევნო პერიოდში საჯარო ინტერესის საკითხებზე სოციალური ადვოკატირების ჯგუფებთან მიმართებით არაპროპორციულად თვლიდა. აკრძალვა, რომელიც განასხვავებდა “პარტიის პოლიტიკას” და საჯარო ინტერესზე სოციალურ ადვოკატირებას, იქნებოდა პრინციპული, განჭვრეტადი და პროპორციული. განმცხადებლის თანახმად, 2003 წლის კანონის 321.3 მუხლში ამ ორ ცნებას შორის განსხვავება ასახული იყო და სხვა ქვეყნებიც აკეთებდნენ ამგვარ განსხვავებას. ფართო განმარტება გაუმართლებლად ზღუდავს კამპანიის მწარმოებელი მცირე ჯგუფების შესაძლებლობას, დაუკავშირდნენ საზოგადოებას საზოგადო ინტერესის მქონე საკითხებზე. ამან შექმნა მონოპოლია არსებული პოლიტიკური პარტიების სასარგებლოდ, რომელთაც აქვთ წვდომა, რეგულარულიც კი, მაუწყებელ მედიაზე პარტიის უფასო პოლიტიკური და საარჩევნო საეთერო დროის მეშვეობით. შესაბამისად, აკრძალვამ ხელი შეუშალა საჯარო დებატს. და ბოლოს, ფინანსურ ტვირთს წარმოადგენდა საქველმოქმედო ხაზის შექმნა არაპოლიტიკურ საკითხებზე რეკლამის ეთერში გასაშვებად, შესაბამისად, აკრძალვა კარგად დაფინანსებული ორგანოების სასარგებლოდ მოქმედებდა.

82. მეორეც, განსხვავებული მიდგომა მაუწყებლებისა და სხვა მედია საშუალების მიმართ გამოუცდელი, ამოუცნობი და არააუცილებელი იყო. ხელისუფლებამ ივარაუდა, რომ მაუწყებელი მედია განსაკუთრებით ძლიერია და ფართო მოცვისაა რაიმე მტკიცებულების, ანალიზის ან შედარებითი კვლევის გარეშე. ფართო დაფარვის მქონე სხვა მედია საშუალებების მზარდი გავლენის გათვალისწინებით დამაჯერებელი საფუძვლები არსებობდა იმის აღიარებისთვის, რომ ეს იდეები შესაძლოა ამჟამად ცრუ ყოფილიყო. ხელისუფლება არასწორად დაეყრდნო [ადამიანის უფლებათა ევროპული] სასამართლოს მანამდე მიგნებებს აუდიო-ვიზუალური მედია საშუალების მოქმედებაზე. ნებისმიერ შემთხვევაში აზრს მოკლებული იყო მაუწყებელ მედიაზე წვდომის აკრძალვა და სხვა ფართო დაფარვის და დამაჯერებელი მედია საშუალებებზე წვდომის დაშვება. თუკი მაუწყებელი მედია განსაკუთრებით ძლიერი იყო, ეს იქნებოდა პოლიტიკური გამოსვლების ეთერში გაშვების მიზეზი და თუ ეს

იმდენად ძლიერი აღარ არის, როგორც მაგალითად ინტერნეტი, სახელმწიფოს დასაბუთება აკრძალვასთან მიმართებით გაბათილდებოდა. მოპასუხე სახელმწიფოს მიზანი, მდიდარისგან და ძლიერისგან მაუწყებელი მედიის დაპყრობის პრევენციისა არ იქნა მიღწეული, რადგანაც ყველა (მდიდარი და ღარიბი) გამოირიცხა ეთერში მოხვედრისგან, მაგრამ მდიდრებს კვლავ შეეძლოთ სხვა ძლიერი მედია საშუალებების მონოპოლიზება.

83. მესამე, ზოგადი ღონისძიების პროპორციულობა კიდევ ერთხელ უნდა შემოწმდეს და მოხდეს მისი დემონსტრირება კონკრეტული საქმის პრაქტიკული და ფაქტობრივი რეალობით. დაეყრდნო რა *VgT* გადაწყვეტილებას, განმცხადებელმა ხაზი გაუსვა, რომ არც ის და არც მისი რეკლამა იქნა მიჩნეული სადაოდ, მაგრამ აკრძალვამ მას ჩამოართვა საჯარო ინტერესის მქონე მნიშვნელოვანი საკითხის წამოჭრის და უკვე საჯარო სივრცეში არსებულ გაშუქებაზე პასუხის გაცემის შესაძლებლობა.

84. მეოთხე, არ დამტკიცდა, რომ აკრძალვის გარეშე მაუწყებლის მიუკერძოებლობასთან მიმართებით კომპრომისის რისკი არსებობდა ან რომ მაუწყებლობის მიუკერძოებლობის უზრუნველმყოფი სამი მექანიზმი ურთიერთდაკავშირებული იყო.

85. განმცხადებელი ასევე ამტკიცებდა, რომ ნაკლებად შემზღუდავ სისტემასთან დაკავშირებული ეჭვები არ ამართლებდა აკრძალვის შენარჩუნებას. საჯარო დებატის მდიდარი და გავლენიანი ინტერეს-ჯგუფების მიერ შებღალვის შიში გაზვიადებული და დაუდასტურებელი იყო. სხვა ევროპულმა სახელმწიფოებმა შეძლეს სხვაგვარი მარეგულირებელი ჩარჩოს განსაზღვრა, რომლითაც მიიღწეოდა დასახული მიზანი შემზღუდავი შედეგების შიშის გარეშე. შეერთებული შტატების სულისკვეთების გაზიარებით მიღებული განზოგადება არ იყო მისაღები გაერთიანებულ სამეფოში.

86. განმცხადებელი მიიჩნევდა რომ შესაბამისი პრეცედენტული სამართალი (ზემოთ ციტირებული *VgT* და *TV Vest*-ის საქმეზე გადაწყვეტილებები და ასევე *Verein gegen Tierfabriken Schweiz (VgT) შვეიცარიის წინააღმდეგ (Verein gegen Tierfabriken Schweiz (VgT) v. Switzerland* (# 2) [დიდი პალატა], # 32772/02, 2009 წლის 30 ივნისი) პირდაპირ ვრცელდებოდა მის საქმეზე და მის სასარგებლოდ. რეკლამები და რეკლამის დამკვეთები არავის აყენებდნენ შეურაცყოფას; და განსაკუთრებით საქმეზე *TV Vest* სასამართლომ უარყო ნორვეგიის და გაერთიანებული სამეფოს

არგუმენტები ძლიერი ფინანსური ჯგუფებისგან საზოგადოებრივი დებატების დაცვის ზოგადი ღონისძიების მიღების გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით. საქმეები *VgT* და *TV Vest* ვერ შემოიფარგლება კონკრეტული ფაქტებით. განმცხადებელი პასუხობდა თუ იწყებდა დებატს, ეს საჯარო ინტერესის ბუნების მქონე იყო, რაც გადამწყვეტი იყო *VgT* საქმეზე და ასევე უნდა იყოს წინამდებარე საქმეზეც. როგორც *TV Vest*-ის გადაწყვეტილებაში აღინიშნა, კონკრეტული მგრძობელობები, რაც რელიგიური მოსაზრებების გამოხატვამ გამოიწვია, ნიშნავდა იმას, რომ *მერფის (Murphy)* საქმე გამორჩეული იყო. უფრო მეტიც, არგუმენტი იმის შესახებ, რომ *VgT* საქმეზე გადაწყვეტილება არასწორი იყო, არ იყო დამაჯერებელი: ეს გადაწყვეტილება განიხილეს და დაადასტურეს სამჯერ (*Murphy*, *VgT No. 2* და *TV Vest*) და მოპასუხე სახელმწიფოს შეფასებებებშიც არაფერი იყო ახალი ან დამაჯერებელი. ნათელი პრეცედენტების გათვალისწინება უნდა მოხდეს სამართლებრივი მდგრადობის და კონვენციური იურისპრუდენციის თანმიმდევრული განვითარებისთვის.

87. და ბოლოს, განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ ტრანს-სასაზღვრო ტელევიზიის შესახებ ევროპული კონვენცია (რომელიც იცავს ტრანს-სასაზღვრო მაუწყებლობას და რეკლამირებას) ეხებოდა ფასიან პოლიტიკურ რეკლამას. ის ასევე მიუთითებდა “დირექტივაზე საზღვრებს გარეშე”, მიაჩნებდა რა, რომ მაშინ როცა სახელმწიფოებს შეეძლოთ მკაცრი მოთხოვნების წაყენება მედია მომსახურების მომწოდებლებისთვის, ერთიანი ევროკავშირის მომცველი მიდგომა იყო საჭირო გამოხატვის თავისუფლებასთან და მაუწყებლობით გადაცემულ რეკლამირებასთან დაკავშირებით.

## 2. მოპასუხე სახელმწიფოს შეპასუხებები

88. მოპასუხე სახელმწიფო ამტკიცებდა, რომ პარლამენტმა აკრძალვა აუცილებლად მიიჩნია მიუღებელი რისკის თავიდან ასაცილებლად, რომ პოლიტიკური დებატი შეილახებოდა ყველაზე მძლავრი და ძვირადღირებული მედიის მეშვეობით რეკლამირების გზით სქელჯიბიანების სასარგებლოდ. ფასიანი პოლიტიკური რეკლამის ეთერში გაშვების რეგულირების გარეშე დატოვება დემოკრატიულ ზემოქმედებას გარდაქმნიდა მომსახურებად, რაც შელახავდა მიუკერძოებლობას მაუწყებლობაში და თვით



დემოკრატიულ პროცესს. მიზანი იყო პოლიტიკური დებატის გაძლიერება და არა მისი შეზღუდვა.

89. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ჩარევა პროპორციული იყო ეროვნული სახელმწიფო ორგანოების მიერ აკრძალვის მიღებისა და გადახედვისას გაცხადებული დასაბუთებიდან გამომდინარე. არჩეული მარეგულირებელი რეჟიმი შეირჩა ერთის მხრივ პოლიტიკური გამოსვლების თავისუფლებისა და მეორეს მხრივ გამოსვლების მიუკერძოებლობის დასაბალანსებლად და დემოკრატიული პროცესის დასაცავად. ეს უკანასკნელი მნიშვნელოვანი მიზნები მიიღწა სამი ურთიერთდაკავშირებული მექანიზმით: აკრძალვა; მიუკერძოებლობის კანონისმიერი ვალდებულება, რომელიც უშუალოდ მაუწყებლების პასუხისმგებლობა იყო (2003 წლის კანონის 320-ე მუხლი); და პარტიის პოლიტიკური, საარჩევნო და რეფერენდუმის კამპანიის უფასო საეთერო დრო. აკრძალვის როგორც ზოგადი ღონისძიების პროპორციულობა უნდა შეფასებულიყო საქმის გარემოებებზე მისი გავრცელების საპირისპიროდ. ამ უკანასკნელი დასაბუთებით მცდარი ვარაუდი კეთდებოდა, რომ ეს შესაძლებელი იყო, განჭვრეტადი და დასაშვები სახელმწიფო ორგანოსთვის მისაღებად გაემიჯნა რეკლამები და რეკლამის დამკვეთები სოციალური დებატის კონტექსტში, ან პოლიტიკურ რეკლამაზე სხვაგვარად დაედგინა შეზღუდვები თითოეულ საქმეზე მორგებით.

90. მოპასუხე სახელმწიფო აკრძალვას პროპორციულად მიიჩნევდა კონკრეტულ ძირითად მიზეზთა გამო.

91. პირველ რიგში, აკრძალვის ფარგლები შემჭიდროვებული იყო მაქსიმალურად მისი ძირითადი მიზნით და ამასთან იმის გათვლით, რომ პრობლემური ინდივიდუალური საქმეების შეფასება თავიდან იქნებოდა აცილებული. ის ეხებოდა მხოლოდ ფასიან რეკლამას. ის ვრცელდებოდა მხოლოდ ყველაზე ფართომოქმედების და დამარწმუნებელ მედიაზე და განმცხადებელი ინარჩუნებდა წვდომას მეტად სასარგებლო მედია საშუალებებზე.

92. მეორე, მაუწყებელ მედიაზე წვდომა იყო ძვირი და აკრძალვის გარეშე მხოლოდ კარგად დაფინანსებულ ჯგუფებს შეეძლოთ მასზე წვდომის ქონა. განმცხადებლის ინტერესებში არ იქნებოდა, თუ მის რეკლამას უპასუხებდნენ ოპოზიციური მოსაზრების მქონე კარგად დაფინანსებული ჯგუფები რეკლამების მასიურად ეთერში გაშვებით. მოპასუხე სახელმწიფომ ეროვნულ

სასამართლოებში წარადგინა მტკიცებულება მაუწყებელ მედიაში რეკლამის ხარჯების შესახებ. მნიშვნელოვანი იყო ის, რომ ხარჯი საკმაოდ მაღალი იყო, არასამთავრობო ორგანიზაციების გამოსარიცხად და გაიხსენა, რომ განმცხადებელმაც დაადასტურა ეროვნულ დონეზე სამართალწარმოებისას, რომ კომერციული სექტორის ერთი დღის სარეკლამო ბიუჯეტი არასამთავრობო ორგანიზაციების სექტორის წლიურ ბიუჯეტზე მეტი იქნებოდა.

93. მესამე, ფასიანი პოლიტიკური რეკლამის დაშვებით შეილახებოდა მაუწყებლობის მიუკერძოებლობა. მთელი რიგი კომპლექსური წესები უნდა მიღებულიყო იმის უზრუნველსაყოფად, რომ თითოეული მოსაზრება/თითოეული რეკლამის შემქმნელი არ მოიპოვებდა დაუმსახურებელ გახმაურებას, მათ შორის: პოლიტიკური რეკლამის ნათლად იდენტიფიცირება და იმის უზრუნველყოფა, რომ ის დარჩება გამოხატვის სხვა ფორმებზე სუბსიდიურად; მაუწყებლების მიერ პოლიტიკური რეკლამისგან მისაღები მოგების პროცენტული მაჩვენებლის შემცირება და თვითნებობის თავიდან აცილება. ამგვარი წესების შემოღება რთული იქნებოდა დისკრიმინაციის საფუძვლების შექმნის ან მიუკერძოებლობის პრინციპის შელახვის გარეშე და რთული იქნებოდა მათი პოლიტიკის დონეზე განსაზღვრა და სამართლებრივი მდგრადობის შენარჩუნება.

94. მეოთხე, პარტიის პოლიტიკური, საარჩევნო და რეფერენდუმის კამპანიის ეთერით გადაცემა (მარეგულირებელი სისტემის სამი ასპექტისგან ერთერთი) ასუსტებდა სადაო ზოგადი ღონისძიების მოქმედებას.

95. უფრო მეტიც, მოპასუხე სახელმწიფო ამტკიცებდა, რომ [ადამიანის უფლებათა ევროპული] სასამართლოს ფუნქცია შემოიფარგლებოდა იმის გადასინჯვით, პარლამენტის მიერ არჩეული გზა შეიძლებოდა თუ არა მიჩნეულიყო სამართლიანი ბალანსის უზრუნველმყოფად და ექცეოდა თუ არა თავისუფალი შეფასების ფარგლებში. მიუხედავად იმისა, რომ საქმე ეხებოდა პოლიტიკურ გამოსვლას, მიზანი იყო მისი ერთიანობის და მიუკერძოებლობის შენარჩუნება. *TV Vest* -მა აღიარა, რომ კონსესუსის არ არსებობა შეფასების ფართო ფარგლების სასარგებლოდ მეტყველებდა. ეს იყო კონკურენტული ინტერესების კარგი ბალანსი, რაც მოიცავდა დეტალურ განხილვას და ნაკლებად შემზღვედავი ალტერნატივების უარყოფას სხვადასხვა საექსპერტო ორგანოების და დემოკრატიულად არჩეული პოლიტიკოსების

მხრიდან, რომლებიც განსაკუთრებული მგრძობელობით გამოირჩევიან დემოკრატიული პროცესების ურყევობისთვის აუცილებელ დამცავ ღონისძიებებთან მიმართებით. პარლამენტი უფლებამოსილი იყო გადაეწყვიტა, მიზანი ამართლებდა თუ არა აკრძალვას და მიიღო კიდეც იცის საწინააღმდეგო ხმის გარეშე. გადაწყვეტილება შემდეგ შეისწავლეს ეროვნულმა სასამართლოებმა, რომლებმაც აღიარეს დასაბუთება და აკრძალვის ფარგლები. შესაბამისად და თავისუფალი შეფასების ფარგლების გათვალისწინებით, [ადამიანის უფლებათა ევროპულმა] სასამართლომ სადაო არ უნდა გახადოს შესაბამისი ეროვნული ორგანოების მიერ კომპლექსურ სფეროში სიფრთხილით ნაპოვნი გამოსავალი. რაც შეეხება პოლიტიკური ესტაბლიშმენტის სადაო ინტერესთა კონფლიქტს აკრძალვის აუცილებლობის შეფასებისას, შეერთებული შტატების გამოცდილება აჩვენებს, რომ მოუწესრიგებელი სისტემა უპირატესობას ანიჭებს პოლიტიკოსებს და არ ემსახურება პარტიულ უმცირესობებს.

96. მოპასუხე სახელმწიფო დაეყრდნო DCMS-ის გენერალური დირექტორის დასტურს (მე-12 პარაგრაფი მაღლა), რომელმაც ასახა და დაეყრდნო DCMS-ის პასუხს აკრძალვის საჭიროებაზე და მის ალტერნატივებზე. ... მოპასუხე სახელმწიფომ გამოკვეთა შემდეგი ასპექტები.

მათ აღნიშნეს, რომ პარლამენტი უფლებამოსილი იყო მიეჩნია, რომ აკრძალვა არ შეიძლება შემოიფარგლოს საარჩევნო პერიოდით, ვინაიდან “სქელჯიბიანებს” შეუძლიათ ელექტორატი “გაჟღინთონ” ცალმხრივი შეხედულებებით და ამით ხელი შეუშალონ საარჩევნო პროცესს. თუკი საარჩევნო პერიოდში აკრძალვა მე-10 მუხლთან შესაბამისობაში იყო (როგორც ეს განმცხადებელმა აღიარა), როგორც საარჩევნო პროცესის დაცვისთვის მიღებული, კითხვა მდგომარეობდა შემდეგში, იგივე მიზნებისთვის არასაარჩევნო დროს რა ფარგლებში იყო აუცილებელი აკრძალვა. ისინი ხაზს უსვამდნენ, რომ აკრძალვა ვერ შემოიფარგლებოდა პოლიტიკური პარტიებით. ამას მარტივად გადალახავდნენ პარტიები, რომლებიც იმალებოდნენ საჯარო ინტერეს-ჯგუფების უკან და ამით ლახავდნენ პოლიტიკურ დღის წესრიგს. უფრო მეტიც, არ არსებობდა ნათელი და ქმედითი განსხვავება პოლიტიკურ პარტიებსა და სოციალური ადვოკატორების ჯგუფებს შორის. მათ აღნიშნეს, რომ პოლიტიკური შინაარსის თავიდან აცილების მცდელობა არ იქნებოდა რეალისტური, რადგანაც რთულია

წარმოიდგინო სოცალური ადვოკატების ორგანო, რომლის რეკლამა არ არის მიმართული მისი მიზნების პოპულარიზაციისკენ. მართლაც, ამგვარი ორგანოს მიერ რეკლამირება გააძლიერებდა მის პოლიტიკურ მიზნებს, სახელის ცნობადობის გაზრდით თუ სახსრების მოძიების მხარდაჭერით. თუკი ამ პირს სურდა არაპოლიტიკურ თემაზე რეკლამირება, მას დასჭირდებოდა საქველმოქმედო საქმიანობის ორგანიზება (რასაც ბევრი მიმართავდა). და ბოლოს, მათ აღნიშნეს, რომ რეკლამების ეთერში გაშვების მსურველი ჯგუფებისთვის ფინანსური შეზღუდვების დაწესება შეიძლება “სქელჯიბიანებს” გადაელახათ სხვადასხვა ასოცირებული ჯგუფებისთვის ან ამ მიზნისთვის შექმნილი ჯგუფებისთვის სახსრების გადანაწილებით. კონკრეტულ პოლიტიკურ მოსაზრებებზე ფინანსური შეზღუდვების დაწესება ასევე ობიექტურად რთულად დასაგეგმი და სამართავი იქნებოდა. პოლიტიკური საეთერო ჩაჭრების რაოდენობის შეზღუდვაც გარდაუვალად წარმოშობდა კითხვებს უსამართლობისა და დისკრიმინაციის შესახებ, მაშინ როცა განჭვრეტადი იყო წესების დადგენა პოლიტიკური პარტიებისთვის საეთერო დროის განსაზღვრა პოლიტიკური პარტიის რეგისტრაციაზე და/ან არჩევნების შედეგებზე დაყრდნობით.

97. EPRA-ს შედარებითი კვლევა ამყარებს მოპასუხე სახელმწიფოს პოციზიას. მხოლოდ 4-მა სახელმწიფომ დატოვა ეს საკითხი სრულად არარეგულირებულად. საფრანგეთში, ირლანდიაში, მალტაში, ესპანეთსა და გაერთიანებულ სამეფოში “ფართო-მამტაბიანი აკრძალვები იყო”. მაშინ როცა სამ სახელმწიფოში (შვეიცარია, დანია და ნორვეგია) დაიშვებოდა რეკლამირება სოციალური ადვოკატების ჯგუფების მიერ; ის ამ ვალდებულებას აღიარებდა *VgT* გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით, რომლის ფარგლები და მოქმედება განხილვის საგანს წარმოადგენდა წინამდებარე საქმეზე. ნებისმიერ შემთხვევაში, მაშინ როდესაც ფართომამტაბიანი ევროპული კონსესუსი არსებობდა იმის შესახებ, რომ მაუწყებელი მედია საჭიროებდა რეგულირებას, არ არსებობდა კონსესუსი იმის შესახებ თუ როგორ უნდა მომხდარიყო ეს. მართლაც, 1999 და 2000 წლებში ამ საკითხების შესწავლისას მინისტრთა კომიტეტმა (იხილეთ 73-75 პარაგრაფები მაღლა) არ გასცა რეკომენდაცია ევროპაში ერთიანი მიდგომის შესახებ: “ტელევიზია საზღვრებს გარეშე დირექტივა” ვრცელდება მხოლოდ კომერციულ რეკლამირებაზე და ნებისმიერ

შემთხვევაში, იმის გარანტიით, რომ მას არ გამოიყენებენ უფრო მკაცრი ეროვნული წესებისთვის გზის ასაქცევად. იგივე ვრცელდებოდა “აუდიო-ვიზუალური მედია მომსახურების შესახებ დირექტივაზე”. ტრანს-სასაზღვრო ტელევიზიის ევროპული კონვენციის საზედამხედველო კომისიამ 2010 წლის ივლისში შეხვედრაზე დაადგინა, რომ პოლიტიკური რეკლამა ევროკავშირის კომპეტენციის ფარგლებს გარეთ არის.

98. მოპასუხე სახელმწიფომ წერილობითი მოსაზრებები წარმოადგინა [ადამიანის უფლებათა ევროპული] სასამართლოს პრეცედენტულ სამართალზე, კერძოდ კი ზემოთ ციტირებულ *VgT*-ის, *Murphy*-ის და *TV Vest* -ის საქმეებზე.

ის ამტკიცებდა, რომ *VgT*-ის გადაწყვეტილება განიხილება საკუთარ ფაქტებზე დაყრდნობით, სადაც განმცადებელი ცდილობდა აღედგინა ბალანსი უკვე დაწყებულ დებატში, მაშინ როცა წინამდებარე საქმეზე განმცხადებელს განზრახული ქონდა დებატის დაწყება პრიმატების მიმართ მოპყრობის თემაზე. შესაბამისად, *VgT* საქმეზე გადაწყვეტილება არ უნდა გავითვალისწინოთ. მან არ აღიარა აუდიო-ვიზუალური მედიის მიმართ მისი ყოვლისმომცველობისა და პოტენციალის გათვალისწინებით გამორჩეული მიდგომის დამკვიდრებული საჭიროება. მან ვერ უპასუხა ზოგადი ღონისძიების დასაბუთებას და შესაბამისად ვერც ადეკვატურად და ვერანაირი ფორმით ვერ გაითვალისწინა რელევანტური გარემოებები. *VgT* (#2) არ იყო რელევანტური, ვინაიდან სასამართლო არ შეეხო ამჯერად განსახილველ ძირითად საკითხს კონვენციის მე-10 მუხლთან მიმართებით. რაც შეეხება საქმეს *TV Vest* ფაქტები განსხვავებული იყო: განმცხადებელი იყო პოლიტიკურ პარტიათა უმცირესობის წარმომადგენელი, მიუკერძოებლობის კანონისმიერი ვალდებულება და პოლიტიკური პარტიის, პარტიის არჩევნებისა და რეფერენდუმი კამპანიისთვის უფასო საეთერო დროის დათმობა, რითაც პარტიათა უმცირესობები სარგებლობდნენ, არ არსებობდა ნორვეგიაში. მართალია *TV Vest*-ის საქმეზე გადაწყვეტილებით აღიარებულ იქნა, რომ ევროპული კონსესუსის სიმწირე ზრდის სახელმწიფოს თავისუფალი შეფასების ფარგლებს, აქ ვერ შეფასდა შეზღუდვა, როგორც ზოგადი ღონისძიება. *Murphy*-ის გადაწყვეტილებით შესწავლილ იქნა შეზღუდვა, როგორც ზოგადი ღონისძიება და არ არსებობდა საფუძველი, რის გამოც რელიგიური რეკლამირების თითოეული საქმის

ინდივიდუალურად განხილვა არ იყო მისაღები, ხოლო პოლიტიკური რეკლამისა - მისაღები.

*3. სასამართლოს შეფასება - იყო თუ არა ჩარევა აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში*

99. განმცხადებელი ამტკიცებს, რომ აკრძალვა არაპროპორციულია, ვინაიდან ის კრძალავს არასაარჩევნო პერიოდში ფასიან “პოლიტიკურ” რეკლამას სოციალური ადვოკატირების ჯგუფების მიერ. მოპასუხე სახელმწიფო ამტკიცებს, რომ აკრძალვა აუცილებელი იყო გავლენიან მედიაზე ფინანსურად ძლიერი პირების უთანასწორო წვდომის შედეგად საჯარო ინტერესის საკითხებზე დებატების შელახვის თავიდან ასაცილებლად და შესაბამისად, ეფექტიანი პლურალიზმისა და დემოკრატიული პროცესის დასაცავად. ტერმინი პოლიტიკური რეკლამირება წინამდებარე კონტექსტში მოიცავს ასევე რეკლამირებას ფართო საჯარო ინტერესის საკითხებზე.

**(a) ზოგადი პრინციპები**

100. გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის აუცილებლობის ზოგადი პრინციპები შეჯამდა საქმეზე *შტოლი შვეიცარიის წინააღმდეგ (Stoll v. Switzerland)* [დიდი პალატა] (# 69698/01, § 101, ECHR 2007-V) და მათზე ხელახალი მითითება გაკეთდა ახლახანს საქმეზე *რაელიან სუისის მოძრაობა შვეიცარიის წინააღმდეგ (Mouvement raélien suisse v. Switzerland)* ([დიდი პალატა], # 16354/06, § 48, 2012 წლის 13 ივლისი):

“(i) გამოხატვის თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების ერთერთ ძირითად ფუნდამენტს და მისი განვითარების და თითოეული ადამიანის თვითრეალიზაციის არსებით პირობას წარმოადგენს. 10.2 მუხლიდან გამომდინარე, ეს ვრცელდება არა მხოლოდ ‘ინფორმაციაზე’ ან ‘იდეაზე’ რომელიც დადებითად იქნება აღქმული ან მიიჩნევა არაშეურაცხმყოფელად, არამედ საპირისპიროდ ამისა, ასევე მათზე, რომლებიც შეურაცხმყოფელი, შოკისმომგვრელი და შემაწუხებელია. ამგვარია პლურალიზმის, ტოლერანტობისა და თავისუფალი აზროვნების მოთხოვნები, რომელთა გარეშეც არ არსებობს ‘დემოკრატიული საზოგადოება’. როგორც ეს მითითებულია მე-10 მუხლში, ეს თავისუფლება შესაძლოა გახდეს გამონაკლისების საგანი, თუმცა ისინი ფორმულირებული უნდა იყოს კონკრეტულად და ყოველი შეზღუდვის საჭიროება უნდა დადგინდეს დამაჯერებლად...”

(ii) ზედსართავი სახელი ‘აუცილებელი’, 10.2 მუხლის მნიშვნელობისთვის გულისხმობს ‘მწვავე სოციალური საჭიროების’

არსებობას. ხელშემკვრელ სახელმწიფოს გააჩნია თავისუფალი შეფასების ფართო ფარგლები იმის შეფასებისას, არსებობს თუ არა ამგვარი საჭიროება, მაგრამ ეს ხორციელდება ევროპული ზედამხედველობის თანხლებით, რაც თავის მხრივ მოიცავს როგორც კანონმდებლობას, ისე მისი შეფარდების შესახებ გადაწყვეტილებებს, მათ შორის დამოუკიდებელი სასამართლოს მიერ მიღებულს. შესაბამისად, [ადამიანის უფლებათა ევროპული] სასამართლო უფლებამოსილია მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება იმის თაობაზე “შეზღუდვა” თანხვედრაში მოდის თუ არა მე-10 მუხლით დაცულ გამოხატვის თავისუფლებასთან.

(iii) საზედამხედველო იურისდიქციის განხორციელებისას სასამართლოს ამოცანა არ არის კომპეტენტური ეროვნული ორგანოების ჩანაცვლება, არამედ მათ მიერ თავისუფალი შეფასების ფარგლებში მე-10 მუხლის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებების გადახვევა. ეს არ ნიშნავს, რომ ზედამხედველობა შემოიფარგლება იმის დადასტურებით, მოპასუხე სახელმწიფომ გამოიყენა თუ არა საკუთარი დისკრეცია დასაბუთებულად, ფრთხილად და კეთილსინდისიერად; სასამართლო ვალდებულია შეაფასოს გასაჩივრებული ჩარევა საქმის ჭრილში ერთიანად და განსაზღვროს, იყო თუ არა ის ‘დასახული ლეგიტიმური მიზნის პროპორციული’ და ეროვნული ორგანოების მიერ მის დასაბუთებლად წარმოდგენილი საფუძვლები არის თუ არა “შესატყვისი და საკმარისი”... ამ დროს სასამართლო უნდა დარწმუნდეს, რომ ეროვნულმა ორგანოებმა გამოიყენეს მე-10 მუხლში ასახულ პრინციპებთან შესაბამისი სტანდარტები და უფრო მეტიც, რომ ისინი დაეყრდნენ შესაბამისი ფაქტების მისაღებ შეფასებას...”

მე-10 მუხლით განსაზღვრული ეს დაცვა ვრცელდება არა მხოლოდ გამოხატული იდეებისა და ინფორმაციის შინაარსზე, არამედ ასევე მათი გამოხატვის ფორმაზე (*იერსილდი დანიის წინააღმდეგ (Jersild v. Denmark)*, 1994 წლის 23 სექტემბერი, § 31, სერია A # 298).

101. სასამართლო ასევე მოიხმობს აუდიოვიზუალურ მედიასთან მიმართებით პლურალიზმის პრინციპებს, რომლებიც ახლახანს განისაზღვრა საქმეზე *Centro Europa 7 S.R.L. and Di Stefano იტალიის წინააღმდეგ (Centro Europa 7 S.R.L. and Di Stefano v. Italy)* ([დიდი პალატა], # 38433/09, ECHR 2012):

“129. ... როგორც ხშირად აღინიშნა, არ არსებობს დემოკრატია პლურალიზმის გარეშე. ... დემოკრატიის არსი მდგომარეობს განსხვავებული პოლიტიკური პროგრამების შეთავაზებისა და დებატების დაშვებაში ... იმის უზრუნველყოფით, რომ ისინი თავის მხრივ არ ავნებს დემოკრატიას ...

132. აუდიოვიზუალურ მედიას, როგორცაა რადიო და ტელევიზია, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი აქვს ამასთან მიმართებით...

133. ვითარება, როდესაც საზოგადოებაში ეკონომიკურად და პოლიტიკურად ძლიერ ჯგუფები უფლებამოსილი არიან მოიპოვონ

დომინანტური პოზიცია აუდიოვიზუალურ მედიაში და შესაბამისად ზეწოლა განახორციელონ მაუწყებლებზე და ფაქტიურად შეზღუდონ მათი სარედაქციო თავისუფლება, ასუსტებს დემოკრატიულ საზოგადოებაში გამოხატვის თავისუფლების ფუნდამენტურ როლს, რაც კონვენციის მე-10 მუხლშია დაცული, კერძოდ კი საზოგადო ინტერესების შესახებ ინფორმაციისა და იდეების გავრცელებასთან მიმართებით...

134. სასამართლო ადგენს, რომ ისეთ სენსიტიურ სექტორში, როგორცაა აუდიოვიზუალური მედია, ჩაურევლობის უარყოფით ვალდებულებასთან ერთად სახელმწიფოს გააჩნია პოზიტიური ვალდებულება, მიიღოს სათანადო კანონმდებლობა და ადმინისტრაციული რეგულირების ჩარჩო, ეფექტიანი პლურალიზმის უზრუნველსაყოფად...

ამის გათვალისწინებით, უნდა აღინიშნოს, რომ მედიის პლურალიზმისა და მედია შინაარსის განსხვავებულობის შესახებ რეკომენდაციაში CM/Rec(2007)2 მინისტრთა კომიტეტმა დაადასტურა, რომ "იდეებისა და მოსაზრებების, ასევე კულტურული განსხვავებულობის პლურალისტულად გამოხატვის დაცვისა და აქტიური პოპულარიზაციისთვის წევრმა ქვეყნებმა უნდა მოახდინონ არსებული მარეგულირებელი ჩარჩოს ადაპტირება, კერძოდ კი მედიაზე საკუთრებასთან მიმართებით და მიიღოს ნებისმიერი მარეგულირებელი და ფინანსური ზომა მედიის გამჭვირვალობის სტრუქტურული პლურალიზმის და ასევე გავრცელებული შინაარსის მრავალფეროვნების უზრუნველსაყოფად."

უფრო მეტიც, მე-10 მუხლის რეგულირების საგნის მნიშვნელოვნების გათვალისწინებით სახელმწიფოა პლურალიზმის უმთავრესი გარანტი (*Informationsverein Lentia და სხვები ავსტრიის წინააღმდეგ (Informationsverein Lentia and Others v. Austria)*, 1993 წლის 24 ნოემბერი, § 38, სერია A # 276; და *მანოლე და სხვები მოლდოვეთის წინააღმდეგ (Manole and Others v. Moldova)*, # 13936/02, § 99, ECHR 2009 (ამონარიდები).

102. რაც შეეხება თავისუფალი შეფასების დასაშვებ ფარგლებს, უნდა გავიხსენოთ, რომ ეს დამოკიდებულია მთელ რიგ გარემოებებზე. ის განისაზღვრება განსახილველი გამოხატვის ტიპზე და ამასთან მიმართებით, უნდა გვახსოვდეს, რომ 10.2 მუხლის თანახმად საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებზე დებატთან მიმართებით შეზღუდვებზე 10.2 მუხლი ადგენს ვიწრო ფარგლებს (*უინგროვი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Wingrove v. the United Kingdom)*, 1996 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილება, *განაჩენთა და გადაწყვეტილებათა ანგარიშები 1996-V*, § 58). ამგვარ საკითხებს მოიცავს ცხოველების დაცვა (*ბლადეტ ტრომსო და სტენსაასი ნორვეგიის წინააღმდეგ (Bladet Tromsø and Stensaas v. Norway)* [დიდი პალატა], # 21980/93, §§ 61-64



ECHR 1999-III; ასევე *VgT Verein gegen Tierfabriken შვეიცარიის წინააღმდეგ (VgT Verein gegen Tierfabriken v. Switzerland)*, §§ 70 და 72; და *რაელიან სუისის მოძრაობა შვეიცარიის წინააღმდეგ (Mouvement raélien suisse v. Switzerland)*, §§ 59-61, ბოლო ორი ციტირებულია მაღლა). თავისუფალი შეფასების ფარგლები ასევე ვიწროვდება პრესით დემოკრატიული საზოგადოების დიდი დაინტერესებით, როდესაც ის ასრულებს საზოგადოებრივი მოდარაჯის უმნიშვნელოვანეს როლს (*Editions Plon საფრანგეთის წინააღმდეგ (Editions Plon v. France)*, # 58148/00, § 43, ECHR 2004-IV): პრესისა და ახალი ამბების მედია საშუალებების თავისუფლება საზოგადოებას საშუალებას აძლევს ქონდეს ერთერთი საუკეთესო საშუალება პოლიტიკური ლიდერების იდეებისა და დამოკიდებულებების შესახებ მოსაზრების აღმოსაჩენად და ფორმირებისთვის. პრესის ვალდებულებაა საჯარო ინტერესის საკითხებზე ინფორმაციისა და იდეების გავრცელება და თავის მხრივ საზოგადოებასაც აქვს უფლება მიიღოს ისინი (*ჰენდისაიდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Handyside v. the United Kingdom)*, 1976 წლის 7 დეკემბერი, § 49, სერია A # 24; და *Centro Europa 7 S.R.L. and Di Stefano იტალიის წინააღმდეგ (Centro Europa 7 S.R.L. and Di Stefano v. Italy)*, ციტირება მაღლა, §131).

103. შესაბამისად, სასამართლო სკურპულოზურად სწავლობს ზოგადი ინტერესის საკითხებზე სატელევიზიო პროგრამაში პრესის გამოხატვაზე დადგენილი შეზღუდვის პროპორციულობას (*Schweizerische Radio- und Fernsehgesellschaft SRG შვეიცარიის წინააღმდეგ (Schweizerische Radio- und Fernsehgesellschaft SRG v. Switzerland)*, # 34124/06, § 56, 2012 წლის 21 ივნისი). წინამდებარე კონტექსტში უნდა აღინიშნოს, რომ როდესაც არასამთავრობო ორგანიზაციას ყურადღება გადააქვს საზოგადოებრივი ინტერესის საკითხზე, ის ახორციელებს პრესის მსგავს საზოგადოებრივი მოდარაჯის როლს (*Vides Aizsardzibas Klubs ლატვიის წინააღმდეგ (Vides Aizsardzibas Klubs v. Latvia)*, # 57829/00, § 42, 2004 წლის 27 მაისი).

104. აღნიშნულ მიზეზთა გამო, წინამდებარე კონტექსტში სახელმწიფოსთვის მინიჭებული თავისუფალი შეფასების ფარგლები ფაქტიურად ვიწროა.

105. სასამართლო ზემოთ აღნიშნულ გარემოებათა ქრილში შეაფასებს, აკრძალვის დასასაბუთებლად მოყვანილი

მიზეზები იყო თუ არა “რელევანტური” და “საკმარისი” და ჩარევა შეესატყვისებოდა თუ არა “მწვავე სოციალურ საჭიროებას” და იყო თუ არა დასახული ლეგიტიმური მიზნის პროპორციული. შესაბამისად, სასამართლოს ამოცანა არ არის ეროვნული სახელმწიფო ორგანოების ჩანაცვლება, არამედ მან სრულად საქმის გარემოებების გათვალისწინებით უნდა განიხილოს, სახელმწიფო ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ექცევა თუ არა თავისუფალი შეფასების დასაშვებ ფარგლებში (*ფრესოზი და ლუაღე საფრანგეთის წინააღმდეგ (Fressoz and Roire v. France)*) [დიდი პალატა], # 29183/95, § 45, ECHR 1999-I).

#### (ბ) წინასწარი შენიშვნები

106. მიუხედავად იმისა ჩარევა როგორ შეფასდა ზემოთ აღნიშნულ საქმეზე *VgT*, წინამდებარე საქმის მხარეებმა დაადასტურეს, რომ პოლიტიკური რეკლამირება შეიძლება მოწესრიგდეს ზოგადი ღონისძიებით, თუმცა ისინი არ ეთანხმებოდნენ მხოლოდ შერჩეული ზოგადი ღონისძიების ფარგლებს. გავიხსენოთ, რომ სახელმწიფო უფლებამოსილია, კონვენციასთან შესაბამისობაში მიიღოს ზოგადი ღონისძიება, რომელიც ვრცელდება წინასწარ განსაზღვრულ მდგომარეობაზე, მიუხედავად თითოეული საქმის ინდივიდუალური მახასიათებლებისა, თუნდაც ამის შედეგად ცალკეული მძიმე შემთხვევები შეიქმნას (*ზდანოკა ლატვიის წინააღმდეგ (Zdanoka v. Latvia)*) [დიდი პალატა], # 58278/00, §§ 112-115, ECHR 2006-IV). განმცხადებლის წერილობითი მოსაზრების საპირისპიროდ, ზოგადი ღონისძიება უნდა გაიმიჯნოს წინასწარი შეზღუდვისგან, რომელიც შეფარდებული იქნა გამოხატვის კონკრეტულ შემთხვევასთან მიმართებით (*ობზერვერი და გარდიანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Observer and Guardian v. the United Kingdom)*, 1991 წლის 26 ნოემბერი, § 60, სერია A # 216).

107. ზოგადი ღონისძიების აუცილებლობა სასამართლომ შეისწავლა ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის მრავალფეროვან კონტექსტში (*ჯეიმსი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (James and Others v. the United Kingdom)*, 1986 წლის 21 თებერვალი, სერია A # 98; *მელაჩერი და სხვები ავსტრიის წინააღმდეგ (Mellacher and Others v. Austria)*, 1989 წლის 19 დეკემბერი, სერია A # 169; და *ჰატონი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Hatton and Others v. the United Kingdom)*

[დიდი პალატა], # 36022/97, § 123, ECHR 2003-VIII) და კეთილდღეობასთან და პენსიასთან მიმართებით (*სტეკი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Stec and Others v. the United Kingdom)*) [დიდი პალატა], # 65731/01, ECHR 2006-VI; *რუნკე და უაითი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Runkee and White v. the United Kingdom)*, ## 42949/98 და 53134/99, 2007 წლის 10 მაისი; და *კარსონი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Carson and Others v. the United Kingdom)*) [დიდი პალატა], # 42184/05, ECHR 2010). ასევე მოხდა მისი შესწავლა საარჩევნო კანონმდებლობის კონტექსტში (*ჟდანოკა ლატვიის წინააღმდეგ (Ždanoka v. Latvia)*) [დიდი პალატა], ციტირება მაღლა); პატიმართა ხმის მიცემა (*ჰირსტი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Hirst v. the United Kingdom) (# 2)*) [დიდი პალატა], # 74025/01, ECHR 2005-IX; და *სკოპოლა იტალიის წინააღმდეგ (Scoppola v. Italy) (# 3)* [GC], # 126/05, 2012 წლის 22 მაისი); ხელოვნური განაყოფიერება პატიმართათვის (*დიკსონი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Dickson v. the United Kingdom)*) [დიდი პალატა], # 44362/04, §§ 79-85, ECHR 2007-V); გაყინული ემბრიონის განადგურება (*ევანსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Evans v. the United Kingdom)*) [დიდი პალატა], # 6339/05, ECHR 2007-I); და სუიციდი დახმარებით (*პრეტტი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Pretty v. the United Kingdom)*, # 2346/02, ECHR 2002-III); ასევე რელიგიური რეკლამის აკრძალვის კონტექსტში (მაღლა ციტირებული საქმე *მერფი ირლანდიის წინააღმდეგ (Murphy v. Ireland)*).

108. პრეცედენტული სამართლიდან მომდინარეობს, რომ ზოგადი ღონისძიების პროპორციულობის განსასაზღვრად სასამართლომ პირველ ყოვლისა უნდა შეაფასოს მისი დამდგენი კანონმდებლობა (*ჯეიმსი და სხვები (James and Others)*, § 36). ღონისძიების აუცილებლობის საპარლამენტო და სასამართლოსმიერი გადასინჯვის ხარისხი განსაკუთრებული მნიშვნელოვნების არის ამასთან მიმართებით, მათ შორის თავისუფალი შეფასების ფარგლების განსაზღვრისას (მაგალითად, *ჰატონი (Hatton)*, § 128; *მერფი (Murphy)*, § 73; *ჰირსტი (Hirst)* §§ 78-80; *ევანსი (Evans)*, § 86; და *დიკსონი (Dickson)*, § 83, ყველა ციტირებულია მაღლა). ასევე რელევანტურია უფლებამოსილების გადამეტების რისკის გათვალისწინება, თუკი ზოგადი აკრძალვა მოქნილია და ეს ის რისკია, რომელიც პირველ ყოვლისა სახელმწიფომ უნდა შეაფასოს (*პრეტტი (Pretty)*, § 74). ზოგადი

ღონისძიება მიჩნეულია ლეგიტიმური მიზნის მიღწევის უფრო მეტად განჭვრეტად საშუალებად, ვიდრე ნორმა, რომელიც იძლევა საქმის ინდივიდუალურად შესწავლის შესაძლებლობას, როდესაც ეს უკანასკნელი მნიშვნელოვანი გაურკვეველობის (*ევანსი (Evans)*, § 89), სამართალწარმოების, დანახარჯებისა და გაჭანურების (*ჯეიმსი და სხვები (James and Others)*, § 68 და *რუნკე (Runkee)*, § 39), ასევე დისკრიმინაციისა და თვითნებობის (*მერფი (Murphy)*, §§ 76-77 და *ევანსი (Evans)*, § 89) რისკს წარმოშობს. ზოგადი ღონისძიების მოქმედების გავრცელება კონკრეტული საქმის გარემოებებზე პრაქტიკაში მისი მოქმედების შედეგის ილუსტრირება და შესაბამისად მისი პროპორციულობის განმსაზღვრელია (იხილეთ მაგალითად, *ჯეიმსი და სხვები (James and Others)*, ციტირება მაღლა, § 36).

109. ასევე, რაც უფრო დამაჯერებელია ზოგადი ღონისძიების ზოგადი იურისდიქცია, სასამართლო მით უფრო ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებს კონკრეტულ საქმეზე მისი მოქმედების შედეგს. ზოგადი ღონისძიებების გადასინჯვის სასამართლოსეული ამ მიდგომის ელემენტები იკვეთება ზემოთ ციტირებულ ორივე საქმეზე, *VgT* და *Murphy*, და ეს უკანასკნელი გავრცელდა *TV Vest*-ის საქმეზე. *VgT*-ს (#2) 2009 წლის გადაწყვეტილება (ციტირება მაღლა) არ იყო რელევანტური, ვინაიდან ეხებოდა [ადამიანის უფლებათა ევროპული] სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების პოზიტიურ ვალდებულებას სახელმწიფოსთვის.

110. ამგვარ ღონისძიებებთან მიმართებით ცენტრალური საკითხი არ არის, როგორც ამას განმცხადებელი გვთავაზობს, ის თუ ნაკლებად შემზღვეველი წესები უნდა მიღებულიყო თუ არა ან სახელმწიფო შეძლებდა თუ არა იმის დამტკიცებას, რომ აკრძალვის გარეშე ლეგიტიმური მიზნის მიღწევა ვერ მიხდებოდა. არამედ საკვანძო საკითხია, ზოგადი ღონისძიების მიღებისას და ბალანსის შეფასებისას კანონმდებელი მოქმედებდა თუ არა თავისუფალი შეფასების ფარგლებში (*ჯეიმსი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (James and Others v. the United Kingdom)*, § 51; *მელაჩერი და სხვები ავსტრიის წინააღმდეგ (Mellacher and Others v. Austria)*, § 53; და *ევანსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Evans v. the United Kingdom)* [დიდი პალატა], § 91, ყველა ციტირებულია მაღლა).

111. ამასთან, სასამართლო აღნიშნავს, რომ მოპასუხე სახელმწიფოს მიერ წარმოდგენილი დასაბუთება მოიცავდა

საარჩევნო პროცესის, როგორც დემოკრატიული წესრიგის დაცვის საჭიროებას და ის ეყრდნობოდა საქმეს *ბოუმანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Bowman v. the United Kingdom* (1998 წლის 19 თებერვალი, § 41, *ანგარიშები 1998-I*), რომელზეც სასამართლომ გაიზიარა, რომ საჯარო დებატის კანონისმიერი კონტროლი აუცილებელი იყო თავისუფალ არჩევნებზე უფლებასთან მიმართებით არსებული რისკის გათვალისწინებით. განმცხადებელმა სადაოდ გახადა ამ საქმის რელევანტურობა, რადგანაც ის ეხებოდა შეზღუდვებს, რომლებიც მოქმედებდა მხოლოდ არჩევნებამდე და არჩევნების დროს. მართალია პლურალისტურ საჯარო დებატთან, არჩევნებთან და დემოკრატიულ პროცესთან მიმართებით რისკი აშკარად უფრო მწვავეა საარჩევნო პერიოდში, *ბოუმანის (Bowman)* გადაწყვეტილებამ არ წარმოადგინა, რომ ეს რისკი შემოიფარგლება მხოლოდ აღნიშნული პერიოდით, ვინაიდან დემოკრატიული პროცესი განგრძობადია და მუდმივ მხარდაჭერას საჭიროებს თავისუფალი და პლურალისტული საჯარო დებატი. მართლაც, საქმეზე *Centro Europa 7 S.R.L. და Di Stefano იტალიის წინააღმდეგ (Centro Europa 7 S.R.L. and Di Stefano v. Italy* (ციტირება მაღლა, § 134), სასამართლო არ თავაზობს, რომ აუდიოვიზუალურ სექტორში ეფექტიანი პლურალიზმის გარანტიის შექმნისთვის ჩარევის პოზიტიური ვალდებულების აღიარება შემოიფარგლება გარკვეული პერიოდით.

შესაბამისად, შესაბამისი იქნება თუ გავიხსენებთ, რომ ისტორიული, კულტურული და პოლიტიკური მდიდარი მრავალფეროვნება არსებობს ევროპაში, ამდენად თითოეული სახელმწიფო თავად წყვეტს საკუთარი დემოკრატიული ხედვის ფორმირებას (*ჰირსტი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Hirst v. the United Kingdom) (# 2)* [დიდი პალატა], § 61; და *სკოპოლა იტალიის წინააღმდეგ (Scoppola v. Italy) (# 3)* [დიდი პალატა], § 83, ორივე ციტირებულია მაღლა). საკუთარი ქვეყნის სასიცოცხლო ძალებთან, საზოგადოებასთან და მათ საჭიროებასთან პირდაპირი და მუდმივი კონტაქტის გამო საკანონმდებლო და სასამართლო ორგანოები საუკეთესო პოზიციაში არიან შეაფასონ მათ ქვეყანაში დემოკრატიული წესრიგის დაცვის გარკვეული სიმწელებები (*ზდანოკა ლატვიის წინააღმდეგ (Zdanoka v. Latvia)* [დიდი პალატა], ციტირება მაღლა, § 134). შესაბამისად სახელმწიფოს უნდა გააჩნდეს დისკრეცია ამ ქვეყანაზე-მორგებულ და კომპლექსურ

შეფასებასთან მიმართებით, რაც წინამდებარე საქმეზე საკანონმდებლო გადაწყვეტასთან მიმართებით საკვანძო მნიშვნელობის იყო.

112. და ბოლოს, სასამართლო აღნიშნავს, რომ ორივე მხარეს იგივე მიზანი აქვს - საჯარო ინტერესის თემებზე თავისუფალი და პლურალისტური დებატის შენარჩუნება და უფრო ზოგადად, დემოკრატიულ პროცესებში წვლილის შეტანა. შესაბამისად, სასამართლოს მოეთხოვება დააბალანსოს ერთის მხრივ განმცხადებელი არასამთავრობო ორგანიზაციის უფლება საჯარო მნიშვნელობის მქონე ინფორმაციისა და იდეების გაცემაზე, რომლის მიღების უფლებაც საზოგადოებას აქვს, და მეორეს მხრივ სახელმწიფო ორგანოების სურვილი დემოკრატიული დებატი და პროცესი დაიცვან გავლენიან მედიაზე პრივილეგირებული წვდომის მქონე ძლიერი საფინანსო ჯგუფების მხრიდან შელახვისგან. სასამართლო აღიარებს, რომ ასეთ ჯგუფებს შეუძლიათ მოიპოვონ კონკურენტული უპირატესობა ფასიანი რეკლამის სფეროში და შესაბამისად შეზღუდონ თავისუფალი და პლურალისტული დებატი, რომლის უმთავრესი გარანტი სახელმწიფოა. შესაბამისად, საჯარო ინტერესის თემაზე დებატის გაშუქების რეგულირება აუცილებელია კონვენციის 10.2 მუხლის მნიშვნელობით. მართალია, გადაწყვეტილებებში *VgT* და *TV Vest* ეს პრინციპი აშკარად აღიარებულია (იხილეთ მაგალითად, ზემოთ ციტირებული საქმე *Centro Europa 7 S.R.L. და Di Stefano იტალიის წინააღმდეგ (Centro Europa 7 S.R.L. and Di Stefano v. Italy)*, თითოეულში განსახილველ რეკლამაზე აკრძალვა მიჩნეულ იქნა არაპროპორციულად. წინამდებარე საქმეზე გადასაჭრელი კიდევ ერთი საკითხია, ზემოთ აღნიშნული მიზნის და მოპასუხე სახელმწიფოსათვის დასაშვები თავისუფალი შეფასების ფარგლების გათვალისწინებით, წინამდებარე აკრძალვა ზედმეტად შორს წავიდა თუ არა.

**(c) პროპორციულობა**

113. ამ ზოგადი ღონისძიების პროპორციულობასთან მიმართებით სასამართლომ პირველ რიგში შეისწავლა მისი აუცილებლობის ეროვნული საპარლამენტო და სასამართლოსმიერი გადასინჯვა, რომლებიც როგორც ზემოთ 106-11 პარაგრაფშია განხილული, წინამდებარე საქმეზე საკვანძო მნიშვნელობისაა.

114. მიუხედავად იმისა, რომ აკრძალვა გაერთიანებულ სამეფოში 1950 წლიდან მაუწყებლობის განუყოფელი ნაწილი იყო, მისი აუცილებლობა საგანგებოდ განიხილა და დაადასტურა ნეილის კომიტეტმა (the Neill Committee) 1998 წლის ანგარიშით. შესაბამისად აკრძალვის პირველადი პროექტი გამოქვეყნდა კომენტარებისთვის. ამ დროისთვის (2001) ზემოთ ციტირებული გადაწყვეტილება *VgT*-ის საქმეზე იქნა მიღებული და კანონშემოქმედების ყველა მომდევნო ეტაპზე შესწავლილ იქნა ამ გადაწყვეტილების გავლენა შემოთავაზებული აკრძალვის კონვენციასთან შესაბამისობასთან მიმართებით. პირველად პროექტთან დაკავშირებული დისკუსიის შემდეგ 2002 წელს კანონპროექტი გამოქვეყნდა დეტალური განმარტებითი ბარათით, რომელიც ეხებოდა *VgT* საქმეზე გადაწყვეტილების გავლენას. კანონპროექტზე კონსულტაციებში მონაწილე სპეციალიზებულმა ორგანიზაციებმა (JCHR, JCDCB, ITC და საარჩევნო კომისია) მხარი დაუჭირეს მას, ზემოთ აღნიშნულ დეტალებზე დაყრდნობით და მიიჩნიეს, რომ *VgT*-ის გადაწყვეტილების შემდეგ ეს იყო პროპორციული ზოგადი ზომა. მოპასუხე სახელმწიფომ DCMS-ის მეშვეობით მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ამ დებატში, ხშირად და დეტალურად განმარტავდა რა მის დასაბუთებას ამ აკრძალვის შენარჩუნებისა და პროპორციულად მიჩნევის შესახებ და ამ საკითხზე სამართლებრივ რჩევასაც გასცემდა... აკრძალვის შემცველი 2003 წლის კანონი ძალაში შევიდა პარტიათა მხარდაჭერით და არცერთი წინააღმდეგი ხმით. შესაბამისად, აკრძალვა იყო საპარლამენტო ორგანოების მიერ აკრძალვის როგორც გაერთიანებულ სამეფოში საჯარო ინტერესების გამომხატველი მაუწყებლობის მარეგულირებელი ფართო სისტემის ნაწილის კულტურული, პოლიტიკური და სამართლებრივი ასპექტების საგამონაკლისო შესწავლის კულმინაცია და ყველა ორგანომ დაადგინა, რომ აკრძალვა აუცილებელი ჩარევა იყო მე-10 მუხლით დაცულ უფლებებში.

115. პარლამენტის ეს კონკრეტული კომპეტენცია და კანონის მიღებამდე ინტენსიური კონსულტაცია აკრძალვის კონვენციასთან შესაბამისობაზე ხსნიდა ეროვნული სასამართლოების დაცვით პოზიციას აკრძალვაზე პარლამენტის გადაწყვეტილებასთან მიმართებით (კერძოდ მე-15 და 24-ე პარაგრაფები მალა). თუმცა აკრძალვის პროპორციულობის ზოგი დეტალი დებატის საგანი გახდა უმაღლეს სასამართლოში და ლორდთა პალატაში. ორივე

სასამართლომ გაანალიზა კონვენციური პრეცედენტული სამართალი და პრინციპები, იმსჯელა VgT გადაწყვეტილების რელევანტურობაზე და სიფრთხილით გაავრცელა ის ამ აკრძალვაზე. ორივე დონეზე თითოეულმა მოსამართლემ აღიარა აკრძალვის მიზანი, ასევე საკანონმდებლო არჩევანის არსი, რაც განსაზღვრავდა მის ფარგლებს და თითოეულმა დაასკვნა, რომ ეს აუცილებელი და პროპორციული ჩარევა იყო განმცხადებლის კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებულ უფლებაში.

116. სასამართლო, თავის მხრივ, მნიშვნელოვან წონას ანიჭებს გაერთიანებულ სამეფოში პოლიტიკური მაუწყებლობის მარეგულირებელი რეჟიმის ამ დამაზუსტებელ და შესატყვის მიმოხილვებს, როგორც პარლამენტის ისე სასამართლო ორგანოების მხრიდან, და მათ მოსაზრებას, რომ ზოგადი ღონისძიება აუცილებელი იყო არსებითი მნიშვნელობის საზოგადოებრივ ინტერესზე დებატის შეზღავნების და შესაბამისად დემოკრატიული პროცესისთვის საფრთხის შექმნის თავიდან ასაცილებლად.

117. ამასთან, სასამართლო მნიშვნელოვნად მიიჩნევს, იმას, რომ აკრძალვა საგანგებოდ შემოიფარგლა, რათა ეპასუხა [დემოკრატიული პროცესის] შელახვის კონკრეტული რისკისთვის, რომლის თავიდან აცილებასაც სახელმწიფო ცდილობდა გამოხატვის უფლების მინიმალური დაზიანებით. ეს მხოლოდ ვრცელდება რეკლამირებაზე, მისი ნაწილობრივ თანდაყოლილი ბუნების გათვალისწინებით (*მერფი*, § 42), ფასიან რეკლამაზე სიმდიდრიდან გამომდინარე არათანაბარი წვდომის საფრთხის გათვალისწინებით და პოლიტიკურ რეკლამაზე (როგორც ეს განმარტებულია 99-ე პარაგრაფში მაღლა), რადგანაც ეს მიჩნეულია დემოკრატიული პროცესის ქვაკუთხედად. ის ასევე შემოიფარგლება კონკრეტული მედია საშუალებით (რადიო და ტელევიზია), ვინაიდან ისინი მიიჩნევა ყველაზე გავლენიან და ძვირადღირებულ მედია და წინამდებარე საქმეზე მარეგულირებელი სისტემის ქვაკუთხედს წარმოადგენს. აკრძალვისთვის დადგენილი ფარგლები მნიშვნელოვანი გარემოებებია მისი პროპორციულობის შეფასებისას (*რაელიან სუისის მოძრაობა შვეიცარიის წინააღმდეგ (Mouvement raélien suisse v. Switzerland)* [დიდი პალატა], § 75, ციტირება მაღლა). შედეგად, მთელი რიგი ალტერნატიული მედია ხელმისაწვდომი



გახდა განმცხადებლისთვის და ეს აღწერილია 124-ე პარაგრაფში დაბლა.

118. თუმცა, განმცხადებელმა საკანონმდებლო არჩევანის უკან არსებული დასაბუთება აკრძალვის ფარგლებთან დააკავშირა.

119. პირველ რიგში, *VgT* გადაწყვეტილების 77-ე პარაგრაფზე მითითებით განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ შეზღუდვის რადიოთი და ტელევიზიით შემოფარგვლა ალოგიკური იყო, ისეთი ახალი მედია საშუალების თანაბარი პოტენციის გათვალისწინებით, როგორცაა ინტერნეტი. თუმცა, სასამართლო გონივრულად მიიჩნევს ამ გამიჯვნას, მაუწყებელ მედიაზე კონკრეტული ზემოქმედების გათვალისწინებით. კერძოდ კი, სასამართლო აღიარებს მაუწყებელი მედიის დაუყოვნებელ და გავლენიან მოქმედებას, სახლის ინტიმურ გარემოში გართობის ნაცნობი წყაროების, რადიოსა და ტელევიზიის მუდმივი ფუნქციონირებით გამოწვეულ ეფექტს (*ჯერსილდი დანიის წინააღმდეგ (Jersild v. Denmark)*, § 31; *მერფი ირლანდიის წინააღმდეგ (Murphy v. Ireland)*, § 74; *TV Vest*, § 60; და *Centro Europa 7 S.R.L. და Di Stefano იტალიის წინააღმდეგ (Centro Europa 7 S.R.L. and Di Stefano v. Italy)*, § 132, ყველა ციტირებულია მაღლა). ამასთან, ინტერნეტით და სოციალური მედიით სარგებლობის თანდაყოლილი არჩევანის საშუალება გულისხმობს, რომ აქედან მიღებულ ინფორმაციას არ აქვს იგივე სინქრონულობა ან გავლენა, როგორც ეთერით მიწოდებულ ინფორმაციას. მიუხედავად ინტერნეტისა და სოციალური მედიის მნიშვნელოვანი განვითარებისა უკანასკნელ წლებში, არ არსებობს რაიმე მტკიცებულება მოპასუხე სახელმწიფოში ახალ და მაუწყებელ მედიას შორის შესაბამისი გავლენის გადანაწილების შესახებ, რაც ამ უკანასკნელის მიმართ სპეციალური ღონისძიებების გატარების აუცილებლობას კითხვის ნიშნის ქვეშ დასვამდა.

120. მეორე, არ ეთანხმებოდა იმას, რომ ეთერში გამზვებული რეკლამა აღარ იყო იმაზე ძვირი ვიდრე სხვა მედია საშუალების მეშვეობით გადაცემული და მოპასუხე სახელმწიფოც დაეთანხმა ამას. სასამართლო საკმარისად მიიჩნევს იმის აღნიშვნას, რომ როგორც ოსლი ჯ.-მ აღნიშნა უმაღლეს სასამართლოში (მე-17 პარაგრაფი მაღლა), მაუწყებელ მედიას აქვს უპირატესობა, რაც ცნობილია რეკლამის დამკვეთებისა და მაუწყებლებისთვის და რისთვისაც რეკლამის დამკვეთები დიდი ოდენობით თანხას იხდიან, იმაზე ბევრად მეტს, ვიდრე უმრავლესი არასამთავრობო

ორგანიზაცია გაწვდება, რომელთაც თავის მხრივ სურთ საჯარო დებატში მონაწილეობა.

121. მესამე, განმცხადებელმა მიიჩნია, რომ პოლიტიკური პარტიის, პარტიის საარჩევნო და რეფერენდუმის არჩევნებისთვის პოლიტიკური პარტიისთვის უფასო საეთერო დროის დათმობა არ იყო რელევანტური აკრძალვის პროპორციულობასთან მიმართებით. თუმცა, სასამართლო მიიჩნევს, რომ აკრძალვის მოქნილობა კონტროლირებადი ფორმით დემოკრატიული პროცესების ცენტრალური ორგანოების მიერ, რელევანტურ გარემოებად უნდა იქნას მიჩნეული, ზოგადი ღონისძიებით მიღწეული ბალანსის სასამართლოს მიერ შეფასებისას (106-110 პარაგრაფები მალლა), მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებელზე არ იმოქმედა ამ ფაქტორმა.

122. მეოთხე, განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ მოპასუხე სახელმწიფოს შეეძლო დაევიწროვებინა აკრძალვის ფარგლები და დაეშვა არასაარჩევნო დროს სოციალური ადვოკატირების ჯგუფების მიერ რეკლამირება. ნაკლებად შემზღვევად აკრძალვასთან მიმართებით უარყოფითი შეფასებები გაიზიარა პარლამენტმა და სასამართლო ორგანოებმა, კერძოდ კი ორი უარყოფითი შეფასება დაასახელა მოპასუხე სახელმწიფომ ამ სასამართლოს წინაშე: უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების რისკი და თვითნებობის რისკი. უფლებამოსილების გადამეტების რისკი პირველ რიგში ეროვნული სახელმწიფო ორგანოების მიერ ფასდება (108-ე პარაგრაფი მალლა) და სასამართლო გონივრულად მიიჩნევს იმის შიშს, რომ ამ შესაძლებლობას შეუძლია განაპირობოს მდიდარი ორგანოების მიერ ამ მიზნისთვის სოციალური ადვოკატირების ჯგუფების შექმნის რისკი. რეკლამირებაზე ფინანსური შეზღუდვები შესაძლოა გადაილახოს იგივე მდიდარი ორგანოების მიერ ერთი და იგივე მიზნებისთვის მცირე ჯგუფების შექმნით და ამით სარეკლამო დროის დაკავებით. სასამართლო ასევე რაციონალურად მიიჩნევს, წუხილს იმის თაობაზე, რომ რეკლამის დამკვეთებისა და რეკლამების ცალცალკე გამიჯვნის მოთხოვნა აკრძალვისას შესაძლოა არ იყოს ლეგიტიმური მიზნის მიღწევის პრაქტიკული გზა. კერძოდ კი, კომპლექსური რეგულირების მექანიზმის გათვალისწინებით, კონტროლის ამ ფორმას შეუძლია გამოიწვიოს გაურკვეველობა, სამართალწარმოება, ხარჯები და გაჭიანურება, ასევე დისკრიმინაციისა და თვითნებობის ბრალდებები, და ამ მიზეზებს შეუძლია

გამართლოს ზოგადი ღონისძიება (108-ე პარაგრაფი მაღლა). შესაბამისად გონივრული იყო მოპასუხე სახელმწიფოსთვის იმის შიში, რომ შემოთავაზებული ალექტრანტივა არ იყო სათანადო და მას შეეძლო საფრთხე შეექმნა მაუწყებლობის მიუკერძოებლობისთვის, რაც განსახილველი მარეგულირებელი სისტემის ქვაკუთხედეა (62-64 პარაგრაფები).

123. უფრო მეტიც, სასამართლო აღნიშნავს, რომ ხელშემკვრელ სახელმწიფოებს შორის არ არსებობს ევროპული კონსესუსი პოლიტიკური რეკლამის ფასიანი საეთერო დროის რეგულირების შესახებ ... და პარტიებისთვის ეს მისაღებია. ხელშემკვრელ სახელმწიფოებს შორის შესაბამისი კონსესუსის არ არსებობა მეტყველებს იმაზე ფართო შეფასების ფარგლების დაშვებაზე ვიდრე ჩვეულებრივ არის ხელმისაწვდომი საჯარო ინტერესის საკითხების გამოხატვაზე შეზღუდვების დადგენასთან მიმართებით (*ჰირსტი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Hirst v. the United Kingdom) (# 2)* [დიდი პალატა], § 81 და *TV Vest*, § 67, ორივე ციტირებულია მაღლა, ასევე *Société de conception de presse et d'édition* და *პონსონი საფრანგეთის წინააღმდეგ (Société de conception de presse et d'édition and Ponson v. France)*, # 26935/05, §§ 57 და 63, 2009 წლის 5 მარტი). ამ თემაზე შედარებით მასალებზე დაყრდნობით EPRA-მ სიფრთხილის რეკომენდაცია გასცა... თუმცა, მაშინ როცა ზოგადი აკრძალვებისგან თავის შეკავება უფრო ფართოდ გავრცელებულია, კვლავ ნათელი რჩება, რომ ხელშემკვრელი სახელმწიფოების მიერ ამგვარი რეკლამების რეგულირების საშუალებათა მნიშვნელოვანი სახესხვაობები არსებობს, რაც ისტორიული განვითარების, კულტურული განსხვავებულობის, პოლიტიკური აზროვნებისა და შესაბამისად, ამ სახელმწიფოების დემოკრატიული ხედვების მდიდარი მრავალფეროვნების ამსახველია (*სკოპოლა იტალიის წინააღმდეგ (Scoppola v. Italy) (# 3)* [დიდი პალატა], ციტირება მაღლა, § 83). ამ სფეროში კონსესუსის ნაკლებობა იმგვარია, რომ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა 1999 და 2007 წლებში მაუწყებელ მედიაში ფასიანი პოლიტიკური რეკლამის საკითხის მიმოხილვისას უარი განაცხადა ამ საკითხზე ერთიანი პოზიციის მიღების რეკომენდაციაზე... ამ კონსესუსის არ არსებობა ასევე აფართოვებს საჯარო ინტერესის საკითხებზე გამოხატვის შეზღუდვებთან მიმართებით თავისუფალი შეფასების ფარგლებს.

124. და ბოლოს, სასამართლო არ მიიჩნევს, რომ წინამდებარე საქმეზე აკრძალვის მოქმედება გადაწონის ზოგადი ღონისძიების ზემოთ აღნიშნულ დასაბუთებას (109-ე პარაგრაფი მაღლა). სასამართლო ამასთან მიმართებით აღნიშნავს, რომ სხვა მედია საშუალებები განმცხადებლისთვის ხელმისაწვდომი იყო და იმეორებს, რომ ალტერნატიულ მედიაზე ხელმისაწვდომობა სხვა პოტენციურად სასარგებლო მედიაზე წვდომის შეზღუდვის პროპორციულობის შეფასებისას საკვანძო საკითხია (*ეპლები და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Appleby and Others v. the United Kingdom)*, # 44306/98, § 48, ECHR 2003-VI; და *რელიიან სუისის მოძრაობა შვეიცარიის წინააღმდეგ (Mouvement raélien suisse v. Switzerland)*, ციტირება მაღლა, §§ 73-75). კერძოდ კი არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის ხელმისაწვდომია პოლიტიკური ხასიათის რადიო ან სატელევიზიო სადისკუსიო პროგრამებში მონაწილეობა (მაგალითად ფასიანი რეკლამის გარდა სხვა საეთერო დროს). ის ასევე თავისუფალია არაპოლიტიკურ საკითხებზე რეკლამა განათავსოს რადიოსა და ტელევიზიაში, თუკი საქველმოქმედო მიზანს დასახავს ამისთვის და არ მიანიშნებს, რომ ამის ხარჯები არ არის ამკრძალავი. ასევე მნიშვნელოვანია, რომ განმცხადებელს სრული წვდომა ქონდა არამაუწყებელ მედია საშუალებებში რეკლამის განთავსებაზე, მათ შორის ბეჭდურ მედიაში, ინტერნეტში (მათ შორის სოციალურ მედიაში), ასევე დემონსტრაციების, პოსტერებისა და ფლაერების მეშვეობით. მიუხედავად იმისა, რომ არ დასტურდებოდა რომ მოპასუხე სახელმწიფოში ინტერნეტი თავისი სოციალური მედიით არ იყო მაუწყებელ მედიაზე გავლენიანი (119-ე პარაგრაფი მაღლა), ეს ახალი მედია საშუალებები კომუნიკაციის ძლიერ ინსტრუმენტებად რჩება, რაც განმცხადებელი არასამთავრობო ორგანიზაციისთვის საკუთარი მიზნების მიღწევის გზაზე შესაძლოა მნიშვნელოვანი მხარდამჭერი იყოს.

125. შესაბამისად, სასამართლო განმცხადებლის რეკლამის აკრძალვის დასაბუთებლად სახელმწიფო ორგანოების მიერ წარმოდგენილ დასაბუთებას მიიჩნევს რელევანტურად და საკმარისად. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვერ ჩაითვლება, რომ აკრძალვა წარმოადგენდა განმცხადებლის გამოხატვის თავისუფლებაში არაპროპორციულ ჩარევად. სასამართლო ასკვნის, რომ კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევას არ ქონდა ადგილი.

**ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლო:**

1. ერთხმად აცხადებს განაცხადს დასაშვებად;
2. ცხრა ხმით რვის წინააღმდეგ ადგენს რომ კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევას არ ქონდა ადგილი.

შესრულებულია ინგლისურ და ფრანგულ ენაზე და საჯაროდ გამოქვეყნდა 2013 წლის 22 აპრილს, სასამართლოს რეგლამენტის 77.2 და 77.3 მუხლების თანახმად.

მაიკლ ობოლე  
სასამართლოს მდივნის მოადგილე

დინ სპილმანი  
პრეზიდენტი

კონვენციის 45.2 მუხლის და სასამართლოს რეგლამენტის 74.2 მუხლის საფუძველზე გადაწყვეტილებას თან ერთვის შემდეგი განსხვავებული მოსაზრებები:

- მოსამართლე ბრატზას დამადასტურებელი მოსაზრება;
- მოსამართლეების ზიემელის, შაიოს, კალაიდიევას, ვუჩინიციის და დე გაეტანოს ერთობლივი განსხვავებული მოსაზრება;
- მოსამართლე ტულკენსის მოსაზრება, რომელსაც დაეთანხმნენ მოსამართლეები სპიელმანი და ლაფრაკი

D.S.  
M.O.B.

განსხვავებული მოსაზრებები არ ითარგმნა, თუმცა ინგლისურ და/ან ფრანგულ ენაზე თან ერთვის გადაწყვეტილების ოფიციალურ ვერსიას, რომელიც განთავსებულია [ადამიანის უფლებათა ევროპული] სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მონაცემთა ბაზაში HUDOC.

**© ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2013**

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ოფიციალური ენებია ინგლისური და ფრანგული. წინამდებარე თარგმანი შესრულებულია ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა სატრასტო ფონდის ხელშეწყობით ([www.coe.int/humanrightstrustfund](http://www.coe.int/humanrightstrustfund)). იგი სასამართლოსათვის სავალდებულო ხასიათს არ ატარებს და არც მის ხარისხზე აკისრებს პასუხისმგებლობას. მოცემული დოკუმენტი შეიძლება ჩამოტვირთულ იქნას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს HUDOC სასამართლო პრაქტიკის მონაცემთა ბაზიდან (<http://hudoc.echr.coe.int>) ან ნებისმიერი სხვა მონაცემთა ბაზიდან, რომელთანაც სასამართლომ მოახდინა მისი გაზიარება. დასაშვებია თარგმანის რეპროდუქცირება არაკომერციული მიზნებისათვის იმ პირობით, რომ მოხდება საქმის სრული სახელწოდების ციტირება, მოცემულ საავტორო უფლებების აღნიშვნასა და ადამიანის უფლებათა სატრასტო ფონდზე მითითებით. წინამდებარე თარგმანის ნებისმიერი ნაწილის კომერციული მიზნებით გამოყენების სურვილის შემთხვევაში, გთხოვთ მოგვწეროთ შემდეგ მისამართზე: [publishing@echr.coe.int](mailto:publishing@echr.coe.int).

**© Council of Europe/European Court of Human Rights, 2013**

The official languages of the European Court of Human Rights are English and French. This translation was commissioned with the support of the Human Rights Trust Fund of the Council of Europe ([www.coe.int/humanrightstrustfund](http://www.coe.int/humanrightstrustfund)). It does not bind the Court, nor does the Court take any responsibility for the quality thereof. It may be downloaded from the HUDOC case-law database of the European Court of Human Rights (<http://hudoc.echr.coe.int>) or from any other database with which the Court has shared it. It may be reproduced for non-commercial purposes on condition that the full title of the case is cited, together with the above copyright indication and reference to the Human Rights Trust Fund. If it is intended to use any part of this translation for commercial purposes, please contact [publishing@echr.coe.int](mailto:publishing@echr.coe.int).

**© Conseil de l'Europe/Cour européenne des droits de l'homme, 2013**

Les langues officielles de la Cour européenne des droits de l'homme sont le français et l'anglais. La présente traduction a été effectuée avec le soutien du Fonds fiduciaire pour les droits de l'homme du Conseil de l'Europe ([www.coe.int/humanrightstrustfund](http://www.coe.int/humanrightstrustfund)). Elle ne lie pas la Cour, et celle-ci décline toute responsabilité quant à sa qualité. Elle peut être téléchargée à partir de HUDOC, la base de jurisprudence de la Cour européenne des droits de l'homme (<http://hudoc.echr.coe.int>), ou de toute autre base de données à

laquelle HUDOC l'a communiquée. Elle peut être reproduite à des fins non commerciales, sous réserve que le titre de l'affaire soit cité en entier et s'accompagne de l'indication de copyright ci-dessus ainsi que de la référence au Fonds fiduciaire pour les droits de l'homme. Toute personne souhaitant se servir de tout ou partie de la présente traduction à des fins commerciales est invitée à le signaler à l'adresse suivante : [publishing@echr.coe.int](mailto:publishing@echr.coe.int).